06-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი
12 თებერვალი
1940 წ.
№ 35 (5736)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„КОМУНИСТИ" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები

15 თებერვალს იწყება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები. ერთი თვის განმავლობაში, 15 თებერვლიდან 15 მარტამდე, ჩატარდება პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რაიონული, საქალაქო, საოლქო და სამხარეო პარტკონფერენციები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები.

პარტიული ორგანოების პერიოდული ანგარიშგება თავიანთი ორგანიზაციების წინაშე, თავიდან ბოლომდე ყველა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს არჩევნობა დემოკრატიული ცენტრალიზმის ურღვევი პრინციპებია, რომლებზედაც დამყარებულია ლენინ-სტალინის პარტიის ორგანიზაციული წყობა.

„პარტიული მასები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — თავიანთ ხელმძღვანელებს ამოწმებენ აქტივებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, მათი ანგარიშების მოსმენის გზით, ნაკლოვანებათა კრიტიკის გზით, ბოლოს, ხელმძღვანელ ორგანოებში ამა თუ იმ ხელმძღვანელი ამხანაგების არჩევისა თუ არარჩევის გზით. დემოკრატიული ცენტრალიზმის ზუსტად გატარება პარტიაში, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პარტიის წესდება, პარტიული ორგანოების უეჭველი არჩევნობა, კანდიდატთა წამოყენებისა და აცილების უფლება, დახურული კენჭისყრა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის თავისუფლება, — ყველა ეს და ამის მსგავსი ღონისძიებანი ცხოვრებაში, სხვათა შორის, იმისათვის უნდა გავატაროთ, რომ გავაადვილოთ პარტიის ხელმძღვანელთა შემოწმება და კონტროლი პარტიული მასების მხრივ".

სტალინის მითითებები საფუძვლად დაედო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციას ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ. უკვე ორჯერ ჩაატარა ბოლშევიკურმა პარტიამ არჩევნები ამ ახალი ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც უზრუნველჰყოფს შინაპარტიული დემოკრატიის უფართოეს განვითარებას, ყველა კომუნისტის უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა არჩევნებში. დაგროვებულია საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების ახლებურად ჩატარების დიდი გამოცდილება.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამჟამად მოქმედ პარტბიუროთა, რაიკომთა, საოლქო კომიტეტთა, სამხარეო კომიტეტთა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტთა არჩევნების შემდეგ გასული დროის მანძილზე საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მილიონზე მეტი ახალი ამხანაგი შევიდა. მათ **პირველად** მოუხდებათ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებში მონაწილეობის მიღება, ხოლო საკ. კ. პ. (ბ) ახალ წევრებს **პირველად** მოუხდებათ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევა. თუ აქამდე ახალ ამხანაგებს წარმოდგენა ჰქონდათ დემოკრატიული ცენტრალიზმის დედაარსზე, გაცნობილი იყვნენ პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევნობას, ამჟამად ისინი ყველა ბოლშევიკთან ერთად შეუდგებიან ბოლშევიზმის ამ ურღვევი ორგანიზაციული პრინციპის პრაქტიკულად განხორციელებას. მომავალი არჩევნები საუცხოო სკოლა იქნება, განსაკუთრებით პარტიის ახალ წევრთათვის, სკოლა, რომელიც აჩქარებს იდეურ-პოლიტიკურ ზრდას, ბოლშევიკურ გამოწრთობას, ამდიდრებს კომუნისტთა პოლიტიკურ და პრაქტიკულ გამოცდილებას.

პარტიის მილიონობით წევრები ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებს სამართლიანად უყურებენ როგორც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული მუშაობის ღრმა მიმოხილვისა და გულდასმით განხილვის საშუალებას, იმის საშუალებას, რომ შეამოწმონ, თუ როგორ სრულდებოდა მათს ორგანიზაციაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივები. როგორ ხორციელდებოდა წინა პარტკონფერენციების, კომუნისტთა საერთო კრებების გადაწყვეტილებანი? რამდენად იყო გათვალისწინებული ბოლშევიკების კრიტიკული შენიშვნები, წინადადებები? როგორ ამტკიცებდნენ თავიანთ კავშირს მასებთან, ხალხთან ანგარიშვალდებული პარტიული ორგანო და ორგანიზაცია, რომელსაც იგი მეთაურობს? ყველა ამ კითხვაზე კომუნისტები პასუხს მოელიან თავიანთი ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციებისაგან. და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც უტყუარად აღრიცხავს მიღწეულს, მოპოვებულს, ბოლშევიკური კრიტიკის ბასრი ნესტარით გამოავლინებს დაშვებულ შეცდომებს, არსებულ ნაკლოვანებებს, მხოლოდ მაშინ მიაღწევს ყოველი ბოლშევიკი **არჩევნების უმნიშვნელოვანეს ამოცანას — ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ღირსეული ამხანაგების არჩევას. საჭიროა არჩეულ იქნან სავსებით შემოწმებული ბოლშევიკები, რომელნიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ჩვენი პარტიისა და შესწევთ უნარი ბოლომდე დაიცვან კომუნიზმის საქმე!**

ხელმძღვანელი პარტორგანოების წინა არჩევნების შემდეგ განვლილი პერიოდი აღსავსე იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამბებით.

1939 წლის მარტში მიმდინარეობდა პარტიის XVIII ყრილობა, რომელზედაც ამხანაგმა სტალინმა ამომწურავი სისრულით შეაჯამა განვლილი გზის შედეგები და დასახა კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის დიდებული პროგრამა. ამხანაგმა სტალინმა მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასვა გრანდიოზული ამოცანა — უმოკლეს ისტორიულ ვადაში ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მესამე ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმა, ყრილობის მიერ დამტკიცებული, მთელ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის. ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მოწინავე რაზმი — კომუნისტური პარტია ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში უდიდესი ენერგიით მუშაობდა იმისათვის, რომ დაეჩქარებინა XVIII ყრილობის ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებათა შესრულება.

პარტიის XVIII ყრილობამ მიიღო საკ. კ. პ. (ბ) ახალი წესდება, რომლითაც საწარმოო წამოწყებათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მიანიჭა უფლება — კონტროლი გაუწიონ საწარმოთა ადმინისტრაციის საქმიანობას. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ ამაღლებულ იქნას პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. მრეწველობის, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებს მიცემული აქვთ შესანიშნავი იარაღი მოდუნებულობის, უყაირათობის, დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად. ადმინისტრაციის საქმიანობისათვის კონტროლის გაწევის უფლება მძლავრი იარაღია საქმის რაციონალური გაძღოლისათვის, მუშა-ხელის, სახელმწიფო სახსრების, მატერიალურ ღირებულებათა დაზოგვისათვის საბრძოლველად. მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები ჩატარდება იმ ნიშნით, რომ შემოწმებულ იქნას, თუ როგორ ასრულებენ პარტიული ორგანიზაციები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩატარდება იმ ნიშნით, რომ მოხდეს მასების შემდგომი მობილიზაცია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც დგას პარტორგანიზაციების წინაშე ამჟამად, მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს.

საანგარიშო პერიოდში ბოლშევიკებმა დიდი მიღწევები მიიპოვეს თავიანთი იდეურ-პოლიტიკური ზრდის მხრივ. სტალინური „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიული პროპაგანდის გარდაქმნის შესახებ, რაც ამის შემდეგ გამოქვეყნდა, მთელ პარტიაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის უდიდესი, უმაგალითო გამოცოცხლება გამოიწვიეს. ასეულ-ათასობით კომუნისტებმა, რომლებსაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღუდგინა და გაუათკეცა თავისი ძალების რწმენა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ინდივიდუალურად შესწავლის შესაძლებლობა, — მცირე წარმატებებს როდი მიაღწიეს. ლექციები, კონსულტაციები თეორიულ საკითხებზე, ბეჭდვითი პროპაგანდა — ყოველივე ეს მტკიცედ შევიდა კომუნისტების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

პარტიული კადრების იდეური ზრდა უეჭველია. მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ იმ უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების თვალსაზრისით, რომლებიც პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა, ბოლშევიკები, პირველ რიგში კი პარტიული კადრები, ახლანდელზე გაცილებით უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდნენ თეორიულად, გაცილებით უფრო სწრაფად უნდა აფართოვებდნენ თავიანთ პოლიტიკურ და კულტურულ ჰორიზონტს. უდავო ფაქტად რჩება ისიც, რომ ბევრი კომუნისტი, მათ შორის ზოგიერთი პარტიული მუშაკიც, მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის მოძღვრების დაბეჯითებით დაუფლების ნაცვლად, განაგრძობს მხოლოდ იმ ჭეშმარიტების მტკიცებას, რომ თეორია სასარგებლოა. პარტიული მუშაკის, პარტიული აქტივისტის პირადი მაგალითი ყველაფერში, ისეთ საქმეშიც, როგორიც არის პარტიის ისტორიის შესწავლა, სავსებით აუცილებელია. კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური ზრდის, მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლების საკითხები ცხარე განხილვის საგანი იქნება საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. ეს იმიტომ, რომ ბოლშევიკების დიდი უმრავლესობის შეგნება ახლა მტკიცედ არის გამსჭვალული ლენინის აზრით, რომ პრაქტიკა უთეორიოდ ბრმაა. ყოველი პარტიული მუშაკი, თუ მას სურს წარმატებით გასწიოს პრაქტიკული მუშაობა, დაუცხრომლად და დაუღალავად უნდა სწავლობდეს, თეორიული ცოდნით უნდა იარაღდებოდეს.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობს. სოციალიზმის ქვეყნის შინაური და საგარეო-პოლიტიკური წარმატებანი მოსვენებას არ აძლევენ კაპიტალისტურ გარემოცვას. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა — მთელი მსოფლიოს ხალხთა უბოროტესმა მტრებმა — ახალი იმპერიალისტური ომის ხანძარი გააჩაღეს. ისინი დიდხანს აგულიანებდნენ თეთრფინელთა ბანდებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და, ბოლოს, აამხედრეს კიდევაც. თეთრფინელებს, რომელნიც იბრძვიან ფინელი ხალხის წინააღმდეგ, იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც დახმარების ხელი გაუწოდა ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ, ზურგს უმაგრებენ ლონდონელი და პარიზელი მესვეურები.

იმ დროს, როცა ჩვენი პარტია იწყებს ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებს, ათასობით კომუნისტები ლომებივით ებრძვიან ფინელ თეთრგვარდიელთა ბანდებს, გვიჩვენებენ, როგორც ნამდვილი ბოლშევიკები, მამაცობისა და გამბედაობის ნიმუშებს და აღაგზნებენ უპარტიო მებრძოლთ. ჩვენს ქვეყანაში ფრონტი და ზურგი ერთიან განუყოფელ მთელს წარმოადგენენ. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე, პარტკონფერენციებზე ღირსეულ ადგილს დაიკავებს საკითხი იმის შესახებ, თუ უკეთ როგორ განხორციელდეს სტალინის დავალება — მობილიზაციურ მზადყოფნაში ვიყოლიოთ მთელი საბჭოთა ხალხი.

რაც უფრო ორგანიზებულად, უფრო ღრმად და უფრო შინაარსიანად ჩატარდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები, სარაიონო, საოლქო და საქალაქო კონფერენციები, რაც უფრო მეტი ყურადღებით მოხდება საუკეთესო, უაღრესად ღირსეული ბოლშევიკების წამოყენება, მათზე მსჯელობა, მათი არჩევა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, მით უფრო წარმატებით განახორციელებენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დასმულ დიად ამოცანებს.

„პრავდის" მოწინავე, 11/II.

ოპერატიული ცნობა
ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

11 თებერვლის განმავლობაში ფრონტზე სწარმოებდა მზვერავთა საძიებო მოქმედება და აქა-იქ—საარტილერიო სროლა. **ლადოგის ტბის** ჩრდილოეთით გრძელდებოდა ქვეითი ჯარის მცირე ნაწილების შეტაკება. **კარელიის ყელზე** სწარმოებდა საარტილერიო სროლა და ქვეითი ჯარის ნაწილების შეტაკება, რის შედეგად მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა და ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა დაიკავეს 16 გამაგრებული თავდაცვითი პუნქტი, აქედან რკინა-ბეტონის 8 საარტილერიო ნაგებობა.

ჩვენი ავიაცია აწარმოებდა სადაზვერვო და საბრძოლო გაფრენებს.

საბჭოთა კავშირის მუშებს, მუშა-ქალებს, კოლმეურნეებს, კოლმეურნე-ქალებს და ინტელიგენციას

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის — „სერპ ი მოლოტის" მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის წერილი

ამხანაგებო!

ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, შესანიშნავი ბავშვები იზრდებიან. სკოლაში შეივლი თუ სტადიონს გადახედავ — გული ხარობს. ირგვლივ ხედავ ჯანსაღ, გონიერ, მგზნებარე ბავშვებს. და განა შეიძლება ისინი სხვანაირნი იყვნენ? მათთვის ხომ ჩვენი ხალხი, ჩვენი პარტია, ჩვენი მამა ამხანაგი სტალინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ისინი ბედნიერად, მხიარულად, სამურად ცხოვრობდნენ.

წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე, მუშათა შვილებმა არ იცოდნენ, თუ რა იყო ბედნიერი ბავშვობა. გვახსოვს: ქარხნის ყოფილმა პატრონმა ვაჟბატონმა გუჟონმა როგორღაც განიზრახა გაეხსნა სკოლა. გამოცხადებული იყო, რომ ამ სკოლაში თვითეული მუშის ოჯახიდან ერთ ბავშვზე მეტს არ მიიღებდნენ. მექარხნე იქვე „განმარტავდა", რომ, ჯერ ერთი ქალებთან შედარებით უპირატესობა ეძლევა ვაჟებს, მეორეც — იმ ბავშვებს, რომელთა მამებსაც ადმინისტრაცია კარგი თვალით უყურებს, მესამეც, რომ სკოლის მთავარი დანიშნულებაა ისე აღზარდოს ბავშვები, რომ ისინი წყნარნი, ღვთისა, ხელისუფლებისა და ქარხნის პატრონის მორჩილნი იყვნენ.

ახლა ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდა. ჩვენში შექმნილია ახალი, საბჭოთა სკოლა. ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა სტალინურად ზრუნავენ მოზარდ თაობისათვის. ბავშვებისათვის აგებულია ათასობით ნათელი სკოლები, საუცხოო სასახლეები, თეატრები, კინოები. 35 მილიონი ბავშვი — ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მეტი — სწავლობს ჩვენს სკოლებში!

ყველა ეს მოსწავლენი ხვალ გახდებიან კვალიფიციური მუშები, ინჟინრები, ტრაქტორისტები, იმსახურებენ წითელ არმიაში, იმუშავებენ კოლმეურნეობათა მინდვრებში, ამოიღებენ ქვანახშირს, გამოადნობენ ფოლადს, წინ წასწევენ საბჭოთა მეცნიერებას. ჩვენს თვალწინ იზრდება ახალ ადამიანთა თაობა, რომლებსაც მხურვალე მოწოდების სიტყვებით მიჰმართავდა ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინი:** „თქვენ კომუნისტური საზოგადოება უნდა ააშენოთ".

მეტად დიდია ჩვენი, მშობლების პასუხისმგებლობა ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში. „ბავშვების სიყვარული, — სწერდა მაქსიმ **გორკი,** — ქათამსაც შეუძლია, მათი აღზრდის უნარის გამოჩენა კი დიდი სახელმწიფო საქმეა, რომელიც ნიჭსა და ცხოვრების ღრმა ცოდნას მოითხოვს".

ჩვენი ქარხნის ბევრ მუშას ესმის ეს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. ისინი მტკიცედ დაუმეგობრდნენ სკოლას და მასთან ერთად ზრდიან ბავშვებს, უნერგავენ მათ საუკეთესო ბოლშევიკურ თვისებებს: პატიოსნებას, მამაცობას, შრომის სიყვარულს, სოციალისტური სამშობლოს ერთგულებას. ავიღოთ კადრის ძველი მუშა ხრისანფ კონსტანტინეს-ძე ბუტნევი. მას ხუთი შვილი ჰყავს: ვიქტორი ბრიგადირ-კონსტრუქტორია, ნიკოლოზი ინჟინერია, ანატოლი წითელ არმიაში მსახურობს, სონია და ნინო ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. რაშია აქ საიდუმლოება? საიდუმლოება აი რაშია: თვითონ ხრისანფ კონსტანტინეს-ძე და მისი ცოლი ფეოდოსია ალექსის-ასული მუდამ თვალყურს ადევნებენ იმას, თუ როგორ სწავლობენ მათი ბავშვები, როგორ იქცევიან ისინი. ბავშვი მგრძნობიარე ქმნილებაა: როცა მშობლებს გული შესტკივათ საზოგადო საქმისათვის, ბავშვებიც ასეთები იზრდებიან.

ჩვენი ქარხნიდან გამოვიდნენ ისეთი ღირსეული ადამიანები, როგორიც არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უდალცოვი, როგორიც არის ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ბრძოლების მონაწილე, ორდენოსანი ჩერნიშევი, როგორიც არის მფრინავი პროროკოვი, რომელმაც თავი გამოიჩინა თეთრფინელებთან ბრძოლებში და რომელიც დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის", როგორიც არიან ათობით სხვები, რომლებითაც ამაყობს მთელი კოლექტივი. ჩვენ გვინდა (და ვფიქრობთ, რომ ეს არის ყოველი საბჭოთა პატრიოტის სურვილი), რათა ჩვენი ბავშვები საუცხოოდ სწავლობდნენ, და რომ გაიზრდებიან, სამშობლოს ერთგული შვილები, კულტურული, გაბედული, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანები იყვნენ.

მოსწავლეთა ნამდვილი კომუნისტური აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სკოლასა და მშობლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა. მაგრამ ცოდვა რა დასამალია. ჩვენს ქარხანაშიც და სხვა საწარმოებშიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი მშობლები, რომლებსაც ავიწყდებათ ბავშვები, ავიწყდებათ, რომ საჭიროა მათი სწავლება, მათი აღზრდა. ზოგი მუშა პატივსაცემი, მოწინავე ადამიანია. ფოლადსაც კარგად აღნობს, წარმოების ახალგაზრდა მუშასაც ხალისით ეხმარება, საამქროში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგაც საზრიანად ლაპარაკობს. მაგრამ ბავშვები, თავისივე ბავშვები, იშვიათად აგონდება.

ხდება სხვა რამეც. სკოლა ასწავლის ბავშვს, მოითხოვს მისგან დისციპლინას, ზრდილობას, უფროსების პატივისცემას. შინ კი, ოჯახში, მოსწავლეს ანებივრებენ, აფუჭებენ.

ან ავიღოთ, მაგალითად, ბავშვთა ყოფაქცევა ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში. მოსწავლენი უდიერად იქცევიან, ზოგჯერ ანგლობენ, ტრამვაის საფეხურს ახტებიან, თამბაქოს ეწევიან. და ხშირად მოზრდილნი, ნაცვლად იმისა, რომ დაუდევარი მოსწავლე დატუქსონ, უყურადღებოდ ჩაივლიან ხოლმე. ზოგი მოსწავლის ხულიგნური ქცევა არ აფიქრებს ზოგიერთ მშობელს, ქარხნის საზოგადოებრიობას, არ იწვევს მათში კეთილშობილურ შეშფოთებას. ზოგჯერ ჩვენ ლმობიერებას, მეტისმეტ ლმობიერებას ვიჩენთ ბავშვის ცელქობისადმი: გაიზრდება და გონს მოვაო. ეს დიდი, მავნე შეცდომაა. ბავშვი პატარაობიდანვე, სკოლის სკამიდანვე უნდა შევაჩვიოთ ორგანიზებულობას, დისციპლინასა და წესრიგს.

მშობლებმა უფრო ხშირად უნდა შეიხედონ ხოლმე სკოლაში, შეხვდნენ მასწავლებლებს, დაეხმარონ მათ. და ზოგიერთი მამა და დედა ამაოდ ცდილობს სკოლისადმი თავისი უყურადღებობა იმით გაამართლოს, რომ ის გართულია წარმოებაში ან ოჯახში მუშაობით. მოსიყვარულე მშობლები, რომელნიც ჰგრძნობენ პასუხისმგებლობას ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის, ყოველთვის გამონახავენ დროს, რათა დაინტერესდნენ, თუ როგორ სწავლობს ბავშვი, როგორი ყოფაქცევისაა, როგორ ასრულებს მასწავლებლის საშინაო დავალებებს. გამონახავენ დროს აგრეთვე იმისათვის, რომ მასწავლებელთან ერთად დატუქსონ უდისციპლინონი, ასწავლონ მათ პედაგოგის პატივისცემა, საზოგადოებრივი ქონებისადმი სიფრთხილით მოპყრობა.

ჩვენ ამას წინათ განვიხილეთ საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი სკოლის შესახებ და სავსებით მოვიწონეთ ისინი. თუ კომკავშირელები სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს მუშაობას, განუწყვეტლივ ეცდებიან განამტკიცონ თავიანთი მეგობრობა მასწავლებელთან, მაშინ საბჭოთა სკოლა სწრაფად მოუღებს ბოლოს ნაკლოვანებებს და ახალ წარმატებებს მიაღწევს. რაც შეგვეხება ჩვენ, ქარხნის კოლექტივს, ჩვენ ვკისრულობთ ასეთ ვალდებულებებს:

1. მივაღწიოთ, რათა ბავშვები კარგად და ჩინებულად სწავლობდნენ, ზრდილობიანად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, მასწავლებელსა და უფროსებს. უზრუნველვყოთ მუდმივი კონტროლი ჩვენი ბავშვების სწავლისადმი, კოლექტივის კრებებზე რეგულარულად განვიხილოთ წარმატებულობის შედეგები. მივიღოთ ზომები ორწლიანობისა და სკოლიდან განთესვის ლიკვიდაციისათვის.

2. დავეხმაროთ №№ 420 და 411 სკოლებს 1940 წელს სკოლის ნაკვეთებზე გააშენონ ყვავილნარები, ბაღები, მოაწყონ ფრენბურთის, კალათბურთის, ქალაქობიას სათამაშო და სხვა სასპორტო მოედნები.

3. ყოველწლიურად ჩავატაროთ ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა ბავშვების შემოქმედების დათვალიერება და გამოფენები. მიმდინარე წლის აპრილში ჩავატაროთ პირველი ასეთი დათვალიერება. დავეხმაროთ №№ 405 და 420 სკოლებს მოაწყონ ტექნიკის, სამხედრო საქმისა და ფიზკულტურის, მხატვრული თვითმოქმედების წრეები და უზრუნველვყოთ ეს წრეები კვალიფიციური ხელმძღვანელებით.

4. სისტემატურად ვაშუქოთ საქარხნო გაზეთ „მარტენოვკაში" სკოლის ცხოვრება. პრაქტიკაში შემოვიღოთ საბავშვო ლიტერატურული შემოქმედებისადმი მიძღვნილი სპეციალური გვერდების გამოშვება.

5. გავხსნათ საქარხნო ლექტორიუმი ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. ქარხნის კლუბთან მოვაწყოთ ოთახი მშობლების პედაგოგიური კონსულტაციისათვის. რეგულარულად ჩავატაროთ საბავშვო დილები, მოსწავლეთა საღამოები, კინოსეანსები და წარმოდგენები ბავშვებისათვის.

6. ყოველდღიური სარგებლობისათვის დავუთმოთ ბავშვებს სასპორტო დარბაზი და სტადიონი. ქარხნის ბაღში მოვაწყოთ ფიზკულტურული ქალაქი, ატრაქციონები, სამკითხველოები, ნორჩ ნატურალისტთა კუთხი და ცალკე სათამაშო მოედანი უმცროსი მოსწავლეებისათვის.

კომკავშირის კომიტეტთან ერთად მოვაწყოთ საბავშვო მოედნები და შევქმნათ პიონერთა ფორპოსტები საცხოვრებელ სახლებთან, საქარხნო დაბებში ნოვო-გირეევოში, რეუტოვოში, სოკოლნაია მთაზე.

7. შევქმნათ საბავშვო ტექნიკური სადგური ქარხნის სკოლისგარეშე კომბინატთან.

8. უზრუნველვყოთ საზაფხულო გამაჯანსაღებელი კამპანიის კარგად ჩატარება. პიონერთა ბანაკებში გავგზავნოთ 600 პიონერი და მოსწავლე. ჩავატაროთ მოსწავლეთა ტურისტული ექსკურსიები ყირიმსა და კავკასიაში.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მშობლების, პედაგოგების, კომკავშირლების, სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაკების საინიციატივო ჯგუფის შექმნა საქარხნო კომიტეტთან. საინიციატივო ჯგუფმა საქარხნო ორგანიზაციების წინაშე უნდა დასვას ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

ასეთია ამხანაგებო, ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თაოსნობა მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებში.

მიღებულია საამქროების საერთო კრებებზე.

(„პრავდა", 10 თებერვალი).

ტყიბულის მაღაროელთა დელეგაციის გამგზავრება დონბასში

გუშინ დილით თბილისში ჩამოვიდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროელთა დელეგაცია, რომელიც მიემგზავრება დონბასში—სტახანოვური მოძრაობის სამშობლოში.

დელეგაციამ ქ. სტალინოში გამგზავრების წინ რამდენიმე საათი დაჰყო გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში. დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. ნანიკაშვილმა რედაქციაში საუბრის დროს განაცხადა:

— ჩვენ მივემგზავრებით დონბასში ტყიბულის მაღაროელთა დავალებით, რომ შევაჯამოთ გასული წლის შედეგები იმ სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელსაც ჩვენი მაღაროელები ანხორციელებდნენ დონბასის „ორჯონიკიძეუგოლის" ტრესტის მაღაროელებთან, გავეცნოთ დონბასელთა მუშაობის მდიდარ გამოცდილებას და გავაფორმოთ სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება „ტყიბულქვანახშირისა" და „ორჯონიკიძეუგოლის" ტრესტებს შორის 1940 წლისათვის. ჩვენ დავალებული გვაქვს გულთბილი მაღაროული სალამი გადავცეთ დონბასის მაღაროელებს და ვუამბოთ იმ წარმატებებზე, რომლებითაც საქართველოს მშრომელნი, მჭიდროდ დარაზმულნი ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ, ხვდებიან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავს.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ვ. ნანიკაშვილი (სტალინის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანი), შ. ცირეკიძე („ტყიბულნახშირის" ტრესტის მმართველის მოადგილე), სტახანოველი თამარ გვენეტაძე (სტალინის სახელობის მაღაროს მტვირთავი), რომელიც პირველი შევიდა ტყიბულის მაღაროში სამუშაოდ და გეგმებს 200-250 პროცენტით ასრულებს, ა. ჩიტიძე („ტყიბულნახშირის" მუშათა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე), ა. კობახიძე (ლენინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინრის მოადგილე), სტახანოველი ა. გოგელაშვილი (ლენინის სახელობის მაღაროს მტვირთავი), რომელმაც 1939 წლის გეგმა 200 პროცენტით შეასრულა, სტახანოველი გრ. ჩეკანოვი (ლენინის სახელობის მაღაროს მნგრეველი-მებიგე) და ვ. შავგულიძე (რაიგაზეთის „ტყიბულის მაღაროელის" პასუხისმგებელი რედაქტორი).

„ტყიბულნახშირის" ტრესტი „ორჯონიკიძეუგოლის" ტრესტთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტის მიხედვით 1940 წელს კისრულობს: ქვანახშირის ამოღების წლიური პროგრამის სტალინური კონსტიტუციის დღისათვის—5 დეკემბრისათვის შესრულებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას 10 პროცენტით, მოსამზადებელი სამუშაოების მთლიანად შესრულებას ციკლური მეთოდის დანერგვით, მაღაროებსა, უბნებსა და ბრიგადებს შორის სოცშეჯიბრების გაშლით, სტახანოველთა და დამკვრელთა რიგების ზრდის მიღწევას იმ ვარაუდით, რომ მაღაროში თვითეული მუშა ასრულებდეს ნორმას, მაღაროელთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებას და სხვ.

აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებისათვის არბიტრებად დასახელებულია „გლავუგოლი", დონბასისა და კავკასიის მექვანახშირეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და გაზ. „ინდუსტრია".

გუშინ საღამოს დელეგაციის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა დონბასში (ქ. სტალინო).

ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია (მარცხნიდან): სხედან — ა. ჩიტიძე, ვ. ნანიკაშვილი, თ. გვენეტაძე, დგანან—შ. ცირეკიძე, ა. კობახიძე, გ. ჩეკანოვი, ვ. შავგულიძე, ა. გოგელაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გეგმების შესრულება

წითელწყარო, 11 თებერვალი (ტელეგრაფით). წითელწყაროს და შირაქის მტს-ებმა 10 თებერვლისათვის ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა მთლიანად შეასრულეს.

10 თებერვლისათვის ხორცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 116 პროცენტით, რძის პროდუქტებისა — 145 პროცენტით.

დამზადება გრძელდება.

საკ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ალ. კობერიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მირიანაშვილი

ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის იუბილე

11 თებერვალს 15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება, რომლითაც რუმიანცევის საჯარო ბიბლიოთეკას ეწოდა სსრ კავშირის საჯარო ბიბლიოთეკა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობისა. მთავრობამ ამ დადგენილებით გააფორმა მოსკოვის ცენტრალური ბიბლიოთეკის სრულიად-საკავშირო ბიბლიოთეკად გარდაქმნა, რაც ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში დაიწყო.

ბიბლიოთეკა 1862 წელს დაარსდა.

ბიბლიოთეკის დაარსებისას მას უფლება მიენიჭა უფასოდ მიეღო თითო ცალი „ყველა უწყებაში დაბეჭდილი, გრავირებული და ლითოგრაფირებული" ყოველი მასალისა. ბიბლიოთეკის შევსების წყაროს 50 წლის განმავლობაში წარმოადგენდა ახალ გამოცემათა თითო სავალდებულო ცალი და შემთხვევითი კერძო შეწირულებანი.

სრულიად უმნიშვნელო იყო ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და შტატი. თითქმის მთელი 30 წლის განმავლობაში მას სულ ოთხი ბიბლიოთეკარი ჰყავდა. 1900 წელს სამკითხველო დარბაზი, რომელიც 170 კაცს იტევდა, საკმაო აღარ იყო. ცამეტი წლის განმავლობაში შუამდგომლობდნენ მისი გაფართოების შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ წიგნის ფონდი ერთი-ათად გაიზარდა და ამჟამად თითქმის 10 მილიონ ტომს ღწევს.

მსოფლიოს ერთერთი უდიდესი წიგნთსაცავი—ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა — ყოველწლიურად აწვდის მკითხველებს 3.500.000-მდე წიგნს. ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ ეს ციფრი ერთი-სამად გადიდდება. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ს. ი. ალიუშინი** დანიშნა კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოადგილედ და შეიყვანა იგი კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურად შევათავსოთ პარტიული მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან

СТАЛИН
СТАЛИН
СТАЛИН

> ...არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა მეურნეობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ მეურნეობას ისევე, როგორც არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ პოლიტიკას...
>
> ...პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყრელი არიან. ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად. და ის, ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად, — იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა.
>
> **ი. სტალინი**

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულნი, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველები (მარცხნიდან): შ. კობახიძე, გ. მიხაილოვი, გ. ლეჟავა და დ. ფილიმონოვი. ფოტო ბუდეშტსკისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი

(სიღნაღი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

სიღნაღის რაიონის სოფელ ასაწურის კოლმეურნეობა „გლეხის სინათლესთან" არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი—შ. მოლაშვილი) სრულიად მოწყვეტილია სამეურნეო საკითხებს. მართალია, კოლმეურნეობამ გასულ წელს მთელ რიგ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია მოსავლიანობის გადიდებისა და მოსავლის დროზე აღებაში, მაგრამ პარტორგანიზაციას ამ საქმეში არ გაუწევია ხელმძღვანელობა, არ ჩასდგომია სათავეში მოწინავეთა თაოსნობას.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში გასულ წელს საუკეთესო მუშაობის შედეგად გამოვლინდნენ სტახანოველი კოლმეურნეები. ზოგიერთი მათგანი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზეც გაიგზავნა; მაგალითად, ფ. ჯავაშვილი და სხვ. მათ სურთ პარტიის რიგებში შესვლა, უნდათ, რომ პარტიის წევრის ღირსეულ სახელს ატარებდნენ, მაგრამ მათ ამავე დროს ესაჭიროებათ დახმარება, რომ მოემზადონ პარტიაში შესასვლელად, პარტორგანიზაციას და პირადად მის მდივანს შ. მოლაშვილს კი სამისოდ „ვერ მოუცლია". პარტორგანიზაციამ არ იცის, კოლმეურნეობაში ვინ არის სტახანოველი, არ იწვევენ მოწინავე კოლმეურნეთა თათბირს გამოცდილების გაზიარებისათვის.

კოლმეურნეობაში სუსტია აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა. ამ ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი ს. ჯავაშვილი 7-8 თვეა, რაც კოლმეურნეობიდან გასულია და სხვაგან მუშაობს, ხოლო კომკავშირის სიღნაღის რაიკომს არ უფიქრია ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელის არჩევაზე. აქ კომკავშირის ორგანიზაციის ზრდის საქმე და კოლმეურნეობაში ავანგარდული როლისათვის ბრძოლის საქმე აშკარად მივიწყებულია. ამაშიც ბრალი მიუძღვის ამ კოლმეურნეობასთან არსებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც სრულებით არ უზრუნია კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, არ მიუთითებია შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვის ღონისძიებებზე.

პარტორგანიზაციას არ განუხილავს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ". კომუნისტები არ იცნობენ აღნიშნულ დადგენილებას, რის შედეგიცაა, რომ კოლმეურნეობაში არსებულ მეცხოველეობის 3 ფერმაში არასახარბიელო მდგომარეობაა. იმის გამო, რომ მეღორეობის ფერმის მწყემს ფერმასთან ახლოს არა აქვს საცხოვრებელი ოთახი, იგი ღორებს თავს ანებებს და დასაძინებლად მიდის რამდენიმე ვერსით დაშორებულ მეძროხეობის ფერმის მწყემსებთან. ასეთმა უპატრონობამ გამოიწვია დედა-ღორების მიერ ნამატის შეჭმა.

მეცხვარეობის ფერმაც (გამგე — ერიაშვილი) სათანადოდ არ არის მომზადებული დოლისათვის. მწყემსები ცხვრებს არ უვლიან, რის გამო ადგილი აქვს ცხვრის სიკვდილიანობას.

ყოველივე ეს მხედველობიდან გამორჩა პარტორგანიზაციას. მას ერთხელაც არ მოუსმენია ფერმათა გამგეების მოხსენებები, არ გაუწევია კონტროლი მათი საქმიანობისათვის.

ცუდად მუშაობს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის აგრეთვე სოფელ ანაგის კოლმეურნეობა „წითელ ანაგასთან" არსებული პარტორგანიზაცია (ყოფილი მდივანი—გ. მირიანაშვილი). პარტორგანიზაციის კრებები მოუმზადებლად ტარდებოდა, არეული იყო პარტიული მეურნეობა, ოქმების სწორად გაფორმებას არ აქცევდნენ ყურადღებას, კოლმეურნეობის განსაზოგადოებული საქონლის საკვები 3 ურმის რაოდენობით დაზიანდა, კოლმეურნეობის ბრიგადირები თავიანთი ნებასურვილით აქირავებდნენ საკოლმეურნეო ტრანსპორტს და ფულს ჯიბეში იდებდნენ. კოლმეურნეობაში 329 კოლმეურნეა გაერთიანებული, ხოლო პარტორგანიზაციამ არ იცის, თუ რამდენია სტახანოველი.

პარტორგანიზაცია არ ზრუნავს მეცხოველეობის განვითარებისათვის. კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა ყოვლად მოუმზადებელი ხვდება დოლს. ცხვრის ბინებთან საჭირო რაოდენობით არ არის მიტანილი საკვები, როგორც უხეში, ისე კონცენტრირებული, ფერმა უზრუნველყოფილი არ არის მწყემსების საჭირო რაოდენობით. ცხვრის ბინაში ჩადგომამდე არ გასუფთავებულა ცხვრის სადგომი ბინები, არ ჩატარებულა დეზინფექცია და სხვ. პარტიული ორგანიზაცია კი არ ზრუნავს ამ ნაკლთა გამოსასწორებლად.

ქ. ბეჟაშვილი

თათბირები ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე

10 და 11 თებერვალს საქ. კ. პ.(ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის, მოლოტოვის რაიკომებში და თბილისის რაიკომში ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტბიუროების მდივნების თათბირები ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ.

რაიკომის მდივნებმა ამხ. მ. ჩუბინიძემ (ლენინის რაიკომი), ამხ. ვ. გარსევანიძემ (მოლოტოვის რაიკომი) და ამხ. ივ. ლეკიშვილმა (თბილისის რაიკომი) თათბირის მონაწილეებს გააცნეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ.

პარტორგანიზაციებისა და პარტბიუროების მდივნები საფუძვლიანად გაეცნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და ჩატარების წესებს. რაიკომების მდივნებმა განმარტეს, თუ როგორ უნდა მოამზადონ პარტორგანიზაციებისა და პარტბიუროების მდივნებმა წერილობითი საანგარიშო მოხსენებები. თათბირებზე ამხანაგებს გააცნეს აგრეთვე საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების კალენდარული გეგმები.

O

ასეთივე ხასიათის თათბირები ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) გორის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიკომებში. პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტბიუროების მდივნებმა საინსტრუქტაჟო თათბირებზე განიხილეს პარტორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების კალენდარული გეგმები. ამ გეგმების მიხედვით მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდება 15 თებერვლამდე, რის შემდეგ დაიწყება პარტორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

წარმოებაზე კონტროლის უფლება, დადგენილებები და სინამდვილე

(ჭიათურა, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მეხუთე უბანი სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა: ლავები არ მზადდებოდა, შრომის ორგანიზაცია სუსტი იყო, მექანიზმებს სრული დატვირთვით არ იყენებდნენ, სკრეპერი დღეღამეში 100 ტონა მარგანეცის ნაცვლად 10 ტონას იძლეოდა; სტახანოველი ამწმენდები 2-3 საათს ცდებოდნენ ლავში მონგრეული მადნის სიმცირით, ვაგონებიც არ იყო საკმაო, ეს ამცირებდა მადნის გამოზიდვას. უბანში უდისციპლინობა სუფევდა. კომუნისტებიც კი არ იყვნენ ავანგარდში, არ იძლეოდნენ თავდადებული მუშაობის მაგალითებს.

მაღაროს პარტიული ორგანიზაცია დაინტერესდა უბნის ჩამორჩენის მიზეზების შესწავლით. კრებაზე მოისმინეს უბნის გამგის მოხსენება. გააკრიტიკეს უბნის მუშაობა, მიიღეს დადგენილება, დასახეს ღონისძიებები. ზოგი მოხსნეს, ზოგს მიუთითეს, ზოგს დაავალეს.

პარტორგანიზაციამ ამით თითქოს ყველაფერი გააკეთა. დარწმუნებული იყვნენ, რომ უბანი გარღვევიდან გამოვიდოდა, მარგანეცის გამოღება მკვეთრად გადიდდებოდა. კარგა ხანი გავიდა ამ დადგენილების გამოტანის დღიდან. პარტბიუროს არ შეუმოწმებია დადგენილების შესრულება. მაღაროს პარტბიუროს მდივანი ამხ. გრ. შეყლაშვილი გვარწმუნებს: მდგომარეობა გამოსწორდა, უბანი ამჟამად კარგად მუშაობსო. მაგრამ სინამდვილე სხვას ლაპარაკობს. უბანმა იანვარში მარგანეცის გამოღების გეგმა 55 პროცენტითაც კი ვერ შეასრულა.

წირქვალის ღელის ტრანსპორტის უვარგისი მუშაობა ყველაზე მეტად ამუხრუჭებს მაღაროს მუშაობას. ესაა ყველაზე „ვიწრო" ადგილი. პარტორგანიზაციამ ტრანსპორტის მუშაობის საკითხიც განიხილა, კვლავ მიიღო დადგენილება, კვლავ დასახა ღონისძიებები. მაგრამ დადგენილება ქაღალდზე დარჩა, ტრანსპორტს კი 80 ვაგონი აკლია. ვერ ვადაქვთ მარგანეცი. მარგანეცით სავსეა მაღაროს ბუნკერები. სანგრევებში ცდებიან ამწმენდები. ცდება მარგანეცის გამამდიდრებელი ქარხანა. ტრანსპორტი კვლავ „ვიწრო" ადგილია. პარტორგანიზაციას დაავიწყდა ძალთა მობილიზაცია, კომუნისტების გადამწყვეტ უბნებზე განაწილება, მოწინავე მუშაკთა წამოყენება მუშაობის ძირითადი უბნების ხელმძღვანელებად.

19 იანვარს მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ მოისმინა მაღაროს დირექტორის გრ. ბრეგვაძის მოხსენება 1939 სამეურნეო წლის შედეგებისა და პირველი კვარტალის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ მაღარომ მარგანეცის გამოღების გასული წლის გეგმა მხოლოდ 74,6 პროც. შეასრულა; მიიღეს დადგენილება, შეიძლება ითქვას, არც თუ ცუდი დადგენილება. თითქოს იანვარში მაინც უნდა გამოსწორებული იყო მდგომარეობა, მაგრამ ამაოდ. ჩამორჩენა სწორედ იანვარში გაღრმავდა. სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა 59,5 პროცენტით შესრულდა.

როგორც ვხედავთ, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ წარმოების ადმინისტრაციის სამეურნეო მოღვაწეობაზე კონტროლის უფლება ისე გაიგო, რომ მოისმინოს მოხსენებები, გამოიტანოს დადგენილებები და ამით დაკმაყოფილდეს. ამიტომ დადგენილებანი ქაღალდზე დარჩნენ. მაღარო კი კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩება.

რამდენიმე სიტყვა კომუნისტების ავანგარდულ როლზე. მაღაროში ამწმენდობა ითვლება წამყვან პროფესიად, მაგრამ რატომღაც ამ პროფესიაზე 71 კომუნისტიდან მხოლოდ 9 კაცი მუშაობს.

ცალკე კომუნისტები მუშაობის საუცხოო ნიმუშებს გვიჩვენებენ, მარგანეცის გამოღების სასწაულებს ახდენენ. ეს ითქმის ამწმენდ ნ. ჭილაძის, ქ. თაბაგარის, ა. ბრეგვაძის, ა. გაფრინდაშვილის, პ. თაბაგარის და სხვების შესახებ. მაგრამ ამით ერთი წუთითაც არ უნდა «დავკმაყოფილდეთ. კომუნისტი წარმოების წინამძღოლი, წარმოების ნოვატორი უნდა იყოს. მაგრამ ესეც არ კმარა. კომუნისტს ამავე დროს მოეთხოვება გაიყოლიოს მის სანგრევში მომუშავე არაპარტიული ბოლშევიკები. დარაზმოს ისინი, რათა ქვეყანას მისცენ მეტი მარგანეცი.

მაგრამ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში ასე არ ხდება. ზოგი კომუნისტი თვით არღვევს შრომის დისციპლინას, არევდარევა შეაქვს მაღაროს მუშაობაში და ამით აფერხებს მარგანეცის გამოღებას. ცვლის ხელმძღვანელი, კომუნისტი მ. ბრეგვაძე მეტ დროს ლოთობაში ატარებდა. ის ნაკლებად ფიქრობდა შრომის სწორ ორგანიზაციაზე, მექანიზმების გამოყენებაზე, სანგრევების მომზადებაზე, სამუშაო დროის ყოველი წუთის გამოყენებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. ასევე ითქმის კომუნისტ ამწმენდ ბ. ბრეგვაძეზე. მან სამუშაო საათებში საქეიფოდ წაიყვანა სამი ამწმენდი და ამით მთელი ცვლის მუშაობა შეაფერხა. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ მათი საკითხი განიხილა, მათ საყვედური გამოუცხადა, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად იმას მოწმობს, რომ ზოგ კომუნისტში სუსტია პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ მათში ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, ხოლო პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს მათს აღზრდაზე.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია მაღაროს საწარმოო ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, ის წარმოების ორგანიზატორი უნდა იყოს. უნდა გავიგოთ, რომ წარმოებაზე კონტროლის უფლება მარტო დადგენილების მიღებას არ ნიშნავს, რაგინდ კარგიც არ უნდა იყოს ეს დადგენილება. დადგენილება საქმის მხოლოდ დასაწყისია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კონტროლს უწევდე დადგენილების შესრულებას, განუხრელად ანხორციელებდე მას.

პ. ჭიოკაძე

ორი პარტორგანიზაცია, მუშაობის ორი მაგალითი

(წულუკიძე, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

სოფ. წითელი ვარსკვლავის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა ერთი წლის წინათ ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა რაიონში. არ სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გეგმები. კოლმეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ სწორად აუღო ალღო მდგომარეობას. უსაქმური „ხელმძღვანელობა", რაც ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო, შეიცვალა მუშაობის მოყვარული ადამიანებით. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აქტიური კომუნისტი ამხ. გ. დარსაველია.

ამხ. დარსაველიამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუშაობას და საქმემაც წინ წაიწია. კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტორგანიზაციის ხელიხელჩაკიდებული მუშაობით კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით დაამთავრა 1939 წლის საგაზაფხულო თესვა. ზაფხულში, როდესაც სამუშაოები მოზღვავდა, კოლმეურნეობამ კვლავ იწყო ჩამორჩენა. შრომისუნარიანი 450 კაციდან სამუშაოზე გამოდიოდა მხოლოდ 165. კოლმეურნეებს ი. ჯალაღანიას, დ. ჩაკვეტაძეს, ვ. ბენიძეს არცერთი შრომადღე არ ჰქონდათ გამომუშავებული.

მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტორგანიზაციამ განმეორებით დაამუშავა კოლმეურნეებში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმად განმარტებისათვის ბრიგადებზე მიმაგრებულ იქნენ გამოცდილი აგიტატორები. მესამე და მერვე ბრიგადებში, სადაც ყველაზე დაცემული იყო შრომის დისციპლინა, აგიტატორებად წავიდნენ თვით პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ქ. ჭიჭალუა და მდივნის მოადგილე ამხ. გ. დარსაველია.

მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები განემარტა ყველა კოლმეურნეს და შრომის დისციპლინაც ერთბაშად განმტკიცდა. ს. უგულავამ, რომელიც ივლისამდე თავს არიდებდა სამუშაოზე გამოსვლას, 3 თვეში გამოიმუშავა 315 შრომადღე, ვ. ბენიძემ — 122, ი. ჯალაღანიამ — 254, დ. ჩაკვეტაძემ — 169 და სხვ. 1939 წლის ბოლოსათვის კოლმეურნეობაში არ იყო შრომისუნარიანი არცერთი კოლმეურნე, რომელსაც 80-ზე ნაკლები შრომადღე ჰქონოდეს გამომუშავებული.

კოლმეურნეობის კომუნისტებმა საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანეს კოლმეურნეები ნაყოფიერი მუშაობისათვის. პარტწევრმა დ. გორდულაძემ 150 სამუშაო დღეში გამოიმუშავა 375 შრომადღე, პარტკანდიდატმა გ. ბარაბაძემ — 475 შრომადღე. მაღალი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე პარტკანდიდატ ალ. ჭოლოკავას და კომკავშირელ რ. გორდულაძეს.

პარტიული მუშაობის ასე მოწყობამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობის ეკონომიურ განმტკიცებას. ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი. კოლმეურნეობამ წლიური გეგმის გადამეტებით მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 24 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1938 წლის 200 ათასი მანეთის ნაცვლად, კოლმეურნეობამ 1939 წელს მიიღო 500 ათასი მანეთის შემოსავალი და მიაღწია 5 ათასი შრომადღის ეკონომიას.

პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას. მისი ინიციატივით კოლმეურნეთა კრებაზე განხილულ იქნა სტალინგრადის ოლქის ბრიგადირ—ასფუთოვანთა მიმართვა. მიმართვის საპასუხოდ კოლმეურნეობის ყველა 8 ბრიგადამ აიღო ვალდებულებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის და ჩაება ბრიგადირ—ასფუთოვანთა საკავშირო შეჯიბრებაში.

O

ქ. წულუკიძის მეოთხე უბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. აქ მთელი მუშაობა ამ საქმეში იმით ამოსწურეს, რომ პლენუმის შედეგები ივნისში განიხილეს პარტიულ კრებაზე და დაავალეს კოლმეურნეობის გამგეობას მოეწვია კოლმეურნეთა საერთო კრება საკითხის განსახილველად.

ამის შემდეგ პარტორგანიზაცია აღარ დაინტერესებულა ამ საქმით. აგიტატორებს ე. ბახტაძეს, ა. ჩხენკელს და გ. ბახტაძეს არაფერი გაუკეთებიათ პლენუმის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისათვის. პარტორგანიზაციის ასეთი უმოქმედობის შედეგად კოლმეურნეობაში დაცემულია შრომის დისციპლინა. შრომისუნარიანი კოლმეურნეებიდან ნახევარზე მეტი არ გამოდის სამუშაოზე. სამუშაოზე არ გამოდიან თვით კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების ცოლებიც. მაგალითად, პარტორგანიზაციის მდივნის ი. კოტიშაძის ცოლს ნინა კოტიშაძეს არცერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული.

პარტიის წევრმა ა. გურგენიძემ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) გასულ წელს კოლმეურნეობის ხარებით და დაქირავებული მუშახელით თავისთვის დაამუშავა იასონ ჩხენკელის 0.5 ჰექტარი მიწა, მიისაკუთრა კოლმეურნეობის აკაციის ხის მასალა. უდარდელი თავმჯდომარის ხელში კოლმეურნეობაში სამარცხვინოდ ჩამორჩება სამუშაოები. თვეობით გაჭიანურდა სოიოს გალეწვა და ჩაის პლანტაციებში სასუქების შეტანა. სუსტად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია კი განზე დგას ყველა ამ ფაქტისაგან.

ტ. ჩიქოვანი

თბილისის მაუდის ფაბრიკის მაუდის საამქროს პარტორგის მდივანი ი. ხარაძე ესაუბრება სტახანოველ კომუნისტებს (მარჯვნიდან) ალ. კლერტაშვილს, ჟ. დანელიას, ლ. კვარაცხელიას კომუნისტთა ავანგარდულ როლზე წარმოებაში. ფოტო რ. აკოფოვისა

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გაგზავნა სოფლად მუდმივ სამუშაოზე

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. **ს. ხოშტარიას** ა.-წ. 11 თებერვლის ბრძანებით (№ 2-76) რაიმიწგანებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე იგზავნებიან სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალისტები:

საქართველოს სსრ მიწსახკომის ექსპერიმენტალურ-ვეტერინალური ინსტიტუტიდან: 1) მ. ა. მახნიაშვილი, 2) პ. ნ. შარაშენიძე, 3) მ. გ. ციხიშვილი, 4) ხ. ი. ხვედელიანი, 5) ტ. ს. თათრიშვილი, 6) ე. გ. შათირიშვილი, 7) ქ. ნ. ყავრიშვილი, 8) ე. ს. ჭყოიძე, 9) ი. მ. ჩოხიშვილი, 10) ზ. ი. მაისურაძე.

საქართველოს სსრ მიწსახკომის მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან: 11) ვ. ა. ეფრემიძე.

საქჯიშპირუტყვდამზადების კანტორიდან: 12) ა. ი. ანდრიასოვა, 13) რ. ქ. ზახარიანი.

საქართველოს სსრ ზოოვეტინსტიტუტიდან: 14) ს. ი. ნოზაძე, 15) მ. შ. მიხელაშვილი, 16) შ. ფ. ბაქურაძე, 17) მ. ს. ფარადაშვილი, 18) ნ. ი. ელიაძე, 19) ი. ლ. გოგილოვა, 20) მ. ს. მეძმარიაშვილი, 21) ი. ე. გოლეთიანი, 22) მ. ქ. ხოტირბეგიშვილი.

საქართველოს სსრ ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან: 23) ვ. ფ. გილდიაშვილი, 24) ნ. პ. ნერსესოვი, 25) მ. მ. ზამბახიძე, 26) მ. ქ. ბარიშვილი, 27) ქ. ნ. ორჯევანიძე, 28) ტ. ი. ტყეშელაშვილი, 29) ე. ი. დათუნაშვილი, 30) ა. ნ. ხომასურიძე, 31) ვ. ქ. ანჯაფარიძე, 32) ტ. გ. კვინიხიძე, 33) ე. ფ. ტეტლიაშვილი, 34) გ. პ. სალუქვაძე, 35) პ. ქ. ჭიჭინაძე, 36) შ. ტ. ეგუმლიძე, 37) ვ. პ. ომიაძე, 38) ვ. ა. ბაბუხადია, 39) ა. ს. იაშვილი, 40) ი. დ. აბდუშელიშვილი, 41) შ. ქ. ცაგარელი, 42) მ. მ. სეთაშვილი, 43) ა. ა. ზამბახიძე, 44) მ. ხ. გოგიტიძე.

ხალხთა სტალინური მეგობრობა ურღვევია

ზესტაფონის რაიონის სოფ. საზანოს 25 თებერვლისა და სოფ. მეორე სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი

უკრაინის სსრ კამენსკის რაიონის კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მხურვალე კოლმეურნეული სალამი მზიური საქართველოდან თქვენ, აყვავებული საბჭოთა უკრაინის კამენსკის რაიონის ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრონომებს, მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებს, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.

1939 წლის 8 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, გამოცდილების ამ დიად სკოლაში — საქართველოს სსრ პავილიონის მახლობლად ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი რაიონის გამოფენის მონაწილენი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ურთიერთ შორის სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას. გამოფენიდან დაბრუნების შემდეგ ვუამბეთ კოლმეურნეებს ამ შეხვედრაზე, სოცშეჯიბრებასა და მიღებულ გამოცდილებაზე, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია კოლმეურნეთა შორის.

ჩვენ ცოტა მუშაობა როდი ჩავატარეთ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის და კარგ შედეგებსაც მივაღწიეთ. მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა, რაც ჩვენი სოცშეჯიბრების პირობებშია გათვალისწინებული, კოლმეურნეთა ყოველდღიურ საზრუნავ საქმედ გახდა. კოლმეურნეობა კოლმეურნეობას ეჯიბრება, ბრიგადა—ბრიგადას, რგოლი—რგოლს, კოლმეურნე—კოლმეურნეს.

ჩვენმა კოლმეურნეობებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გასული წლის გამოფენაში, ჯილდოდ მეორე ხარისხის დიპლომი მიიღეს და კვლავ ახალ წარმატებებს მიაღწიეს. 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამოფენაზე შეხვედრისას პირობა დასდო საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მიეღო. ეს პირობა უკვე განაღდებულია: გასული წლის ყურძნის მოსავალი თვალსაჩინოდ აღემატება სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობისათვის დაწესებულ მაჩვენებლებს.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში გაიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები—რგოლის ხელმძღვანელები, ბრიგადირები, ვაზის მყნობელები, კოლმეურნეობების საუცხოო ხელმძღვანელები. იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი. სიღარიბე და უმეცრება წარსულს ჩაბარდა.

სოფლად შეძლებული და საამური ცხოვრება დამკვიდრდა. კოლმეურნენი იძენენ ძვირფას საოჯახო ნივთებს: ნიკელის საწოლებს, შიფონერებს, პატეფონებს, აშენებენ სახლებს—კულტურულად აწყობენ ოჯახებს. ამის მაგალითს წარმოადგენს ქ. ცომაკურიძე, წინათ იგი მოჯამაგირე იყო, უსახლკარო გლეხი. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ წელში გაიმართა. ახლა ცომაკურიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

ვლადიმერ ღოლაძე ღარიბი გლეხი იყო. ახლა შეძლებულად ცხოვრობს, ბრიგადირია და ბეჯითი შრომით გასულ წელს მისმა ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 125 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ალ. ბუცხრიკიძემ კოლმეურნეობაში შეისწავლა ვენახის მოვლა და ახლა მყნობელთა ბრიგადის მოწინავე ბრიგადირია. კოლმეურნეობაში მუშაობით კვალიფიკაცია აიმაღლეს და მევენახეობის სპეციალისტები გახდნენ: დ. ცხადაძე, ელ. ბოჭორიშვილი, ნ. კაკაურიძე, ს. ცხადაძე და სხვები. საკოლმეურნეო შრომამ ისინი ბედნიერი და საამური ცხოვრების გზაზე დააყენა.

ასევე ბედნიერად და საამურად ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი, ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნე მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხებთან ერთად. ეს საამური და ბედნიერი ცხოვრება ჩვენ მოგვანიჭა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა სტალინმა.

ერთგულად ვმუშაობთ რა სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, რაიონის კოლმეურნეობებმა და მათ შორის ჩვენმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გაგაცნოთ 1939 წლის შედეგები. რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 55,5 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, სიმინდი 11 ცენტნერი. ვენახი გაშენებულია 290 ჰექტარზე, მოწყობილია მეცხოველეობის 155 ფერმა, ერთი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან ნაცვლად სახელმწიფო დავალების—45,7 კილოგრამისა მიღებულია 52,1 კილოგრამი პარკი.

1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში რაიონის 69 კოლმეურნეობიდან მონაწილეობას მიიღებს 49 კოლმეურნეობა და სოფლის მეურნეობის 250 მოწინავე ადამიანი, ნაცვლად გასული წლის 31 კოლმეურნეობისა და 68 მოწინავისა. ამხანაგებო! ჩვენი ხელშეკრულება ჰგულისხმობს სანიმუშოდ შევასრულოთ 1940 წლის საწარმოო გეგმები. ამას ჩვენ უსათუოდ მივაღწევთ.

წელს სერიოზული ამოცანების წინაშე ვდგევართ. ჩვენ უნდა გავაშენოთ ვენახი 333 ჰექტარზე. (აქედან 112 ჰექტარი შამპანურის ჯიშები), ჩაი 140 ჰექტარზე, სუბტროპიკული ხურმა—50, კეთილშობილი დაფნა—20, ხეხილის ბაღი—20 ჰექტარზე და მაღალტანიანი თუთა 50 ათასი ძირის რაოდენობით. ამ კულტურებისათვის მომზადებულია ნიადაგი და სანერგე მასალის ნაწილი.

ამხანაგებო! ურღვევია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა სტალინური მეგობრობა, ყოველდღიურად მტკიცდება აყვავებული საბჭოთა უკრაინის და მზიური საქართველოს მშრომელთა ძმური კავშირი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ქალაქ მოსკოვში მიმდინარე წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ერთიმეორესთან წარვგზავნოთ ჩვენი კოლმეურნეობების მოწინავე ადამიანები, მოვახდინოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, გადმოვიტანოთ ურთიერთ გამოცდილება, ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა და გავწიოთ წინ მორიგ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

მოველით თქვენგან პასუხს.

საზანოს 25 თებერვლის და მეორე სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრების დავალებით:

დ. ბუცხრიკიძე, ა. სამხარაძე, ვ. ღოლაძე, ბ. ორბელაძე, ა. ბუცხრიკიძე, ს. მეგრელიშვილი, სოლ. მეგრელიშვილი, შ. ზუზაძე, მ. ღოლაძე, ი. ხარაღიძე, ხანდრო ორბელაძე, ი. ბუცხრიკიძე, შ. ორბელაძე, გრიგოლ, სამსონ, დათიკო, ბელაგია, შალვა და დიმიტრი ცხადაძეები, მიხეილ, ვასილ და გაბო ბოჭორიშვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამარჯვებებით მიდიან გამოფენაზე

(ზუგდიდის რაიონი)

უტუ მიქავა და შეფიცულნი

... ჩვენი სამშობლო შევიზიზღეთ, გადავწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოდ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგოთ... რაც უნდათ, ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანეთს შევფიცეთ: არაფრის გულისათვის არ დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ასეთი სამშობლო, როცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, როცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ!.. არც ავაზაკები ვართ და არც მეამბოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოულობთ, მეტს არაფერს. გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით; ყველაფერს გაგიგონებთ.

ასე გადმოგვცემს მეფის მოხელე ბოროზდინი სამეგრელოს აჯანყებული გლეხების წინამძღოლის მჭედელ უტუ მიქავას შეხვედრას მეფის გენერალ კოლუბაკინთან, რომელიც ეკატერინე დედოფალმა მოიპატიჟა თავის სამეფოში ურჩ ქვეშევრდომთა დასათრგუნავად.

იმდენი რამ დაწერილა ამ ოდესღაც ბედშავ კუთხეზე — სამეგრელოზე, რომ დღეს ყოველი ბუჩქის ძირას გულშემზარავი სტრიქონები ცოცხალ არსებასავით თან დაგვდევენ, რომ გადაეჭდონ განახლებული სამეგრელოს ახალი ისტორიის სტრიქონებს.

ყველგან დაეძებ ლეგენდარული სახალხო გმირის, მჭედელ უტუ მიქავას ნაბანაკარს, სადაც ათიათასი ამბოხებული გული ისე ბობოქრობდა, როგორც პონტის ზღვის ტალღები, მძაფრი ქარიშხალით აზვირთებულნი. ბჟოლის ხეს ისე ვერ გაუვლით, რომ თვალწინ არ წარმოსდგეს საწყალი, განაწამები გლეხი ტაგუია (ჟიარაღის „მამელუკიდან“), რომელსაც ცალ ხელში თოფი ეჭირა და ცალში—თოხი. ნეტავი რომელი ბჟოლის ჩრდილში იჯდა საწყალი ტაგუია, ცოლის მიტანილ სადილს რომ შეექცეოდა ყანაში და ღვინით სავსე ჩალამკალამით ასეთი სადღეგრძელო დალია:

— ღმერთო, შენ გაუმარჯვე ყველა ურჯულოსთან მებრძოლს, ქვეყანაზე მშვიდობის დამამყარებელს, საწყალი გლეხკაცის გამკითხველს, ქვრივ-ობოლთა შემწეს. ყველას ერთობ, წონა - სამართლის მქონეს. ღმერთო, ის დღე მაჩვენე, ისე საფლავში ნუ ჩამიყვან, რომ ყანაში უთოფოდ მივდიოდე, დედაკაცს სადილი მარტოდმარტო მოჰქონდეს და არაფრის შიში და რიდი არ ჰქონდეს...

ლოცვამ ტაგუიას ფუჭად ჩაუარა. იმავე დღეს, რა დღესაც მან ეს ნატვრა წარმოსთქვა, რამდენიმე საათის შემდეგ გული მოსწყვიტეს საწყალ ტაგუიას, მისი ბიჭუნია ხვიჩა მოიტაცეს და გააქანეს სტამბოლის ბარბაროსთა ბაზარზე.


ზუგდიდი. ენგურის ქაღალდის კომბინატის ერთერთი კორპუსი.
ფოტო რ. აკოფოვისა.

და ისეთ დღეში ჩავარდა ტაგუია, რომ მისი საცოდაობით (ქვაც კი იცრემლებოდა. მის თვალებზე ცრემლები არ გამშრალა და სამარეში ისე ჩავიდა, რომ ამას გაიძახდა:

— ვაი, ახა ვაი, სადა ხარ შვილო, სადა ხარ ბაბა, სადა ხარ ჩემო ხვიჩა, ჩემო ბაბა!

ხვიჩა კი სტამბოლის ბაზარზე გაჰყიდეს და დაიღუპა, როგორც ეგვიპტის მამელუკთა სარდალი, ნაპოლეონ ბონაპარტის ჯარებთან ბრძოლის დროს და მისი მეგრული ამონაკვნესი—„ვაი ნანა“ თან წაიღო ნილოსის მღვრიე დინებამ.

მისი „უდიდებულესობის“ სასახლეში

იყო ქეიფი დაუსრულებელი. მოგზაურნი და მემატიანენი ხშირად აღწერენ ხოლმე იმ დაუსრულებელ სმა-ჭამას, მდიდარ სუფრას, რაც მისი „უდიდებულესობის“ მთავარ დადიანის სასახლეში უნახავთ. სხვა აბა რა ჰქონდათ საზრუნავი!! მარტო ნადირობის აღწერა რად ღირს, რასაც იძლევა იტალიელი ემისარი არქანჯელო ლამბერტი.

„ნადირობის კარგად მოწყობისათვის მთავარი ისე ბევრსა ხარჯავს მწევარ - მეძებრებზე, ქორ - მიმინოებზე და ბაზიერებზე, რომ არა მგონია მოიძებნოს სხვა მთავარი, რომელმაც გადააჭარბოს მას ამ ხარჯში, ყველა ამაების სარჩენელად მიჩენილია კარგაძალი სოფლები, რომელთა მოვალეობაცაა თავის დროზე მიაწოდონ ბაზიერებს—რაგვარი საჭმელი, ქორ-მიმინოებს — ქათმები და ძაღლებს—ღორები, თხები და ღომი“.

ესე იგი ვინ უნდა ჰკვებოს მთავრისა და თავადების ძაღლები და მეძებრები? აი იმ ხალხმა, რომლის მორთულ - მოკაზმულობა იმავე ავტორის აღწერით ასეთი იყო:

— მდაბიო ხალხის შესახებ არც კი ითქმის რომ მას ტანს აცვიაო, რადგან მისი სიღარიბე იქამდეა მიღწეული, რომ სამოსელი ძლივს ნახევარ ტანს უფარავს. მართლაც კაცების ტანისამოსს შეადგენს რაღაც შალის ნაგლეჯი, რომელიც ძლივს მუხლამდე უწვდება და სულ უბრალო თოკი სარტყლად აქვთ; სხვას არა ზრუნავენ, არც პერანგის, არც შარვლის, არც წინდების და ფეხსაცმლის დარდი არა აქვთ. იმისთანებიც არიან, რომ ამ შალის ნაგლეჯსაც ვერ შოულობენ და სოფლად სულ შიშვლები დადიან...

აი ამ ხალხს უნდა შეენახათ ძაღლები და მიმინოები. ბედის დაცინვა ამაზე შორს წავა!?

ცეცხლის გრიგალი „ნაპერწკლიდან“

უტუ მიქავა გმირია და თანაც შესაბრალი. მან ხომ არ იცოდა სად იყო ბოროტებათა სათავე, ქოფაკ გენერალ კოლუბაკინს რომ ემუდარებოდა, სამართალი გვიწყალობეო, მან, წითელ არშიაშემოვლებულ ქუდიანმა ჭაბუკმა ხმალი რომ გააძრო ქარქაშიდან, რა იცოდა, რომ პირველად ორთავიანი არწივისათვის უნდა დაეკრა და ორივე თავი წაეგდებინებინა. მან რა იცოდა, რომ სამართალი არსად არ არის, გარდა იმ ხელისუფლებისა, სადაც მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობაა ბატონ-პატრონი.

არ იცოდა და ამიტომაც ჩაახშეს ათიათასი გლეხის აჯანყება.

მაგრამ ჟენევიდან ასტყდა ქარიშხალი და „ნაპერწკლიდან“ ამოვარდა ცეცხლის გრიგალი, მგზნებარე კოლხიდელის ხმამ დაიქუხა და დაჭაობებული წყობილების ქვეწარმავლებს ძილი დაუფრთხო.

მარქსისა და ლენინის მეცნიერული სოციალიზმის იდეებმა ცხოველმყოფელი შუქი მოჰფინეს ფაბრიკა-ქარხნებსა და ქოხმახებს, მათ შორის წვრილი წნელით ჩახლართულ მეგრულ ფაცხებსაც.

ასტყდა სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ლენინ-სტალინის მძლეთა-მძლე პარტიის რკინის კოჰორტამ ორივე თავი გაუჩეჩქვა თვითმპყრობელ მაჯლაჯუნას.

მაგრამ მეგრელ გლეხობას, ისევე როგორც საქართველოს გლეხობას, ამისაგან არა ერგო რა. რევოლუციის გამყიდველმა მენშევიკებმა ისევ თავადებს ჩააბარეს გლეხების ბედიღბალი და ხელუხლებლად დატოვეს მემამულეებს მიწები.

აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციები სოკოებივით მრავლდებოდნენ მენშევიკური სამეგრელოს იატაკქვეშ. საშა გეგეჭკორმა დასძახა ბრძოლის ყიჟინა და მენშევიკებს გული საგულედან ამოუგდო.

მენშევიკების „დემოკრატიულ“ ხუნდებს აუმხედრდა საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობა, ხოლო მენშევიკებმა დიდი „საგმირო“ საქმე გააკეთეს. ბევრი სოფელი გადასწვეს, ბევრი ხალხი გაჟლიტეს და გაიტაცეს ხალხის ქონება. ზუგდიდის მუზეუმის ცენტრალურ ადგილას ფარჩითა და აბრეშუმით მოპირკეთებული ცარიელი ყუთები და ფუტლარები არის გამოფენილი. ამ ყუთებსა და ფუტლარებში ელაგა 32 ფუთი ოქრო, ხალხის საკუთრება, და მენშევიკების უკანასკნელი „სამსახური“ ხალხის წინაშე იყო ამ ოქროს გატაცება საზღვარგარეთ.

დამკვიდრდა დიდი ოქტომბერი საქართველოში.

და დღეს მისი „უდიდებულესობის“ დადიანის ყოფილ სასახლეში, მუდამ მწვანე ხეივნით რომ არის შემოსალტული, ზის განახლებული ზუგდიდის რაიონის ახალი ხელმძღვანელი, მისი უღარიბესობის უტუ მიქავას შთამომავალი, ლენინ-სტალინის პარტიის შვილი, ბოლშევიკი გრიშა ჩაჩიბაია. და დადიანის საქეიფო დარბაზში ხელმძღვანელობს პარტრაიკომის პლენუმებისა და ბიუროების სხდომებს.

თვით ქალაქი ზუგდიდი, მრავალჯერ აკლებული და გადაბუგული თურქი ბარბაროსებისა და თვითმპყრობელობის ბილწი გენერლების მიერ, თვალწარმტაც სანახაობად გაშლილა ირანული ხალიჩების ფონზე. პალმისა და კვიპაროსის ხეივნები ამკობენ თეთრ სართულებიან სახლებს. სოციალისტური შრომის მძლავრი გუგუნი სიამოვნებით ავსებს გულს და თქვენს თვალწინ წარმოსდგება ინდუსტრიული გიგანტი—ენგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც მაღალხარისხოვან ქაღალდს აწვდის სოციალიზმის ქვეყანას.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ თავმჯდომარე (მარცხნიდან მარჯვნივ) **ა. როგავა**, ს. ანაკლიის ლენინის სახ. კოლმეურნეობის სტახანოველი მეაბრეშუმე **თ. ფაცურია**, კოლმეურნეობა „ინგირის“ სტახანოველი - რეკორდსმენი **ქიონია სარსანია**, კოლმეურნეობა „დამკვრელის“ სტახანოველი **ა. ლუბელაძე**, ს. შამგონის კიროვის სახ. კოლმეურნეობის სტახანოველი **ლ. ქარჩავა**, ს. რუხის ბერიას სახ. მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე **თ. ფარცვანია**.

იქ კიდევ ჩაის ახალი ფაბრიკების გამწვანებულ ეზოებში ჩაის სამურ სურნელებას აფრქვევს ნიავი. რაიონში უკვე 15 სხვადასხვა ქარხანა მუშაობს. შენდება კოფეინის, ჩაის საწნეხი ქარხნები და სხვ.

სახელმწიფო თეატრი, კინოთეატრი, კულტურის სახლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ახალი სასტუმრო და მრავალი კულტურული დაწესებულება, სკოლების შენობები—ეს სულ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ არის გამართული. 53 დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლა, 30 საშუალო და ტექნიკური სასწავლებელია რაიონში. წელს გაიხსნა უმაღლესი სასწავლებელი — პედაგოგიური ინსტიტუტი.

შავრაზმელი ვოსტორგოვის ოცნება—მეგრელების გარუსება ფერფლად ქცეულა; მეგრელი ახალგაზრდები მშობლიურ ენაზე ეწაფებიან მეცნიერებას და მარქსიზმ - ლენინიზმით შეიარაღებულნი თვითვე სჭედენ თავისი საამური და კულტურული ცხოვრების ბედს.

და თუ ეკატერინე დედოფლის პატაკი მეფის სატრაპებისადმი იმაზე გაჰკიოდა, ხალხი აჯანყდა და ყაზახ-რუსები მომაშველეთო, სულ სხვაა გამარჯვებული ბოლშევიკი ხელმძღვანელის პატაკი ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი. ეს არის ზუგდიდის რაიონის მშრომელების გამარჯვებათა ნუსხა, რომელსაც საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივნის ამხ. გ. ჩაჩიბაიას უჯრაში ნახავთ. და ამ გამარჯვებებს იგრძნობთ ყოველ ფეხის გადადგმაზე.

ამას ციფრებიც ღაღადებენ

მას აჩქარებს ლაპარაკი ყოველ პლანტაციაზე. საუბარი კი უფრო მეტად ჩაის ირგვლივ აქვს, რადგან ეს არის რაიონის მოსახლეობის შეძლებულობის მთავარი წყარო.

დამთავრდა 1939 წელი, შეჯამდა განვლილი წლის ნაამაგარი.

რარიგ გადიდებულა ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობებში! 1937 წელს ის 17 მილიონს აღემატებოდა, გასულ 1939 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა ფულად მიიღეს 23.580.232 მანეთი. დიდად სასიხარულო და საამაყო ის არის, რომ თუ 1938 წელს რაიონში ერთი მილიონერი კოლმეურნეობა იყო (სოფ. ორსანტიაში — გეგეჭკორის სახელობის), ახლა უკვე 6 მილიონერი კოლმეურნეობაა. ხუთი ნორჩი მილიონერი გასულ წელს შემატებია ზუგდიდის რაიონს: სოფ. რუხში იშვა ახალი მილიონერი—ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ახალსოფელში — „დამკვრელი“, სოფ. დარჩელში—„კოლმეურნეობის გზა“, სოფ. კოკში — სტალინის სახელობისა და შამგონაში — კიროვის სახელობისა.

წელს ხუთამდე მილიონერობის კანდიდატი კიდევ გვყავს, — ღიმილით ამბობს ამხ. ჩაჩიბაია და ირწმუნება, რომ წლის ბოლოს ისინიც მილიონერები გახდებიან.

მილიონერები მრავლდებიან ზუგდიდის რაიონში. არ იქნება ზედმეტი ვიცოდეთ, რომ ამა წლის 1 იანვრისათვის ზუგდიდის რაიონში ითვლებოდა 47 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებული არის 10.712 კომლი, რაც გლეხური მოსახლეობის 88,5 პროცენტს შეადგენს. მათ უვადო სარგებლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩააბარა 52.000 ჰექტარი მიწა.

განა მარტო მიწა მისცა! მიწაც მისცა, კრედიტიც, სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც, ტრაქტორები, მომზადებული კადრები, კარგი ხელმძღვანელობა და ყოველდღიური მზრუნველობა.

ეს მწირი მიწა აბა რა ზარაქას მისცემდა მათ, რომ ხელისუფლებას არ ეზრუნა მის განოყიერებაზე. აიღოთ თუნდა ჩაის პლანტაციები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ამჟამად უჭირავს 5.052 ჰექტარი, რამდენი თავსამტვრევი სამუშაოებია ჩატარებული ამ ჰექტარების ბარაქის გასადიდებლად, ფოსფოროვანი სასუქი 1937 წელს შეტანილია 3.629 ცენტნერი, 1938 წელს—3,364, 1939 წელს—3.727, აზოტი კი 1937 წელს—3.249, 1938 წელს—3.428 და 1939 წელს—2.535 ცენტნერი. მთელი პლანტაციების ფართობი ყოველ ზამთრობით იბარება. დრენაჟი, რემონტი, გასხვლა, გაფორმება, გათოხნა, კულტივაცია, დროული კრეფა და ვინ მოსთვლის რამდენი აგროღონისძიებაა დახარჯული იმისათვის, რომ ამ ოდესღაც გვიმრით, ძეძვით და ლაქაშებით დაფარულ ადგილებზე, მეგრელი მშრომელი ხალხის ოფლით და სისხლით მორწყულ ადგილებზე ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები აბიბინებულიყო!


ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ სტახანოველ კოლმეურნის დავით ყურაშვილის ახალი ოდა.

გარდა ჩაისა, რაიონს აქვს 1.250 ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია, 1.594 ჰექტარი ტუნგი, 364 ათასი ძირი ევკალიპტი, 512 ჰექტარი ვენახი, 740 ჰექტარი თხილი, დაფნა, გრეიპფრუტი, ფეიხოა, იაპონური ხურმა, მუშმულა და რა არ ხარობს ამ განოყიერებულ მიწაზე. მეცხოველეობაც დიდათ განვითარდა. სულადობა აყვანილია 8.087-მდე.

კოლმეურნეობებს ემსახურება 146 აგრონომი და აგროტექნიკოსი, 36 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი.

მაგრამ მთავარი, რამაც ზუგდიდის რაიონი ასე წამოსწია ორდენოსან საქართველოს მოწინავე რაიონთა შორის, ეს არის თვით მშრომელთა შრომითი ენტუზიაზმი, რაც დიად სახალხო, სტახანოვურ მოძრაობაში გამოვლინდა. ზუგდიდის საკოლმეურნეო მინდვრების ენტუზიასტები მტკიცედ მისდევენ იმ პროგრამას, რომელიც საქართველოს საამაყო შვილმა **ლავრენტი ბერიამ** მისცა მათ, როგორც გასაღები, როგორც „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“. მთავარი ის არის, რომ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინურ კანონს ზუგდიდელი კოლმეურნეები მტკიცედ იცავენ.

3.000-ზე მეტი სტახანოველი კაცისა და ქალის მადლიანმა მარჯვენამ რაიონს ის მოუპოვა, რომ 1939 წელს ჩაის საშუალო მოსავლიანობა რაიონში 2.022 კილოგრამს უდრის, უკანასკნელი სამი წლის საშუალო სარაიონო მოსავლიანობა კი 1.882 კილოგრამს. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსახვედრად საკმარისი იყო 1.760 კილოგრამის მიღწევაც. ციტრუსების საშუალო მოსავლიანობა ერთ ძირ ხეზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უდრის 489 ცალს, რაც გამოფენაზე მოხვედრისათვის დაწესებულ რაოდენობას დიდად აღემატება.

იგივე ითქმის დაფნაზე, რამზე. რაიონმა ჩაის, მანდარინის, თხილის, პარკის, თამბაქოს დამზადების გეგმები გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა. აბრეშუმის პარკი კოლოფზე მიიღო 44 კილოგრამი.

გამოფენიდან გამოფენამდე

„... სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მთელ პროგრამას გვაძლევს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.. ამ გამოფენამ უნდა გამოიწვიოს შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის, რაიონებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის. მას შეუძლია და კიდეც უნდა შეასრულოს დიდი როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ორგანიზაციისა და მესამე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში“.

საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის ეს სიტყვები გულში ჩაიჭედეს ზუგდიდელმა კოლმეურნეებმა, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ შარშან ენახათ საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა, თან წამოიღეს ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხის მოწინავე ადამიანთა გამოცდილება და ახალი ენტუზიაზმით დაიწყეს ბრძოლა მაღალი მოსავლიანობისათვის, ახალი ძალით გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

ჯოლევჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა „ინგირი“, რომლებიც 1938 წლის მაჩვენებლებისათვის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მეორე ხარისხის დიპლომით, 5.000 მანეთით და მოტოციკლით დააჯილდოვა, გამოვიდნენ რაიონში სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაშლის ინიციატორებად. მათ მოწოდებას 1940 წელს გამოფენაში მონაწილეთა რიცხვის გამრავლების შესახებ გამოეხმაურნენ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

შედეგიც უსათუოდ საამაყოა. შარშან რაიონიდან გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 12 კოლმეურნეობამ, ერთმა საბჭოთა მეურნეობამ, სოფლის მეურნეობის 230 მოწინავე ადამიანმა. წელს კი დღემდე უკვე რეგისტრირებულია 31 კოლმეურნეობა, 2 საბჭოთა მეურნეობა, 2 მესაქონლეობის ფერმა, 890 სტახანოველი, აქედან 81 ბრიგადირი და 41 რგოლის ხელმძღვანელი.

დიახ, ახალი ენტუზიაზმით აღივსნენ გამოფენის მნახველი ზუგდიდელი სტახანოველები. ცნობილმა სტახანოველმა ქიონია სარსანიამ გამოფენიდან დაბრუნების მეორე დღეს 355 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფა, გეგმა შეასრულა 2.800 პროცენტით, ესე-იგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 1938 წელს 1.915 შრომადღე გამოიმუშავა და 15 ათას მანეთზე მეტი მიიღო. გასული წელი კიდევ მეტი ბარაქით დაამთავრა საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატმა სარსანიამ, რომელიც საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს სტახანოველებს შორის რადგან ყველას ასწავლის და უზიარებს თავის გამოცდილებას. სტახანოველი ძაბულია ჯინჯოლავა (ჭკადუაშის კოლმეურნეობა) დღიურად ჰკრეფდა 75 კილოგრამ ჩაის, გამოფენიდან დაბრუნების მეორე დღესვე, 10 აგვისტოს მოჰკრიფა 150 კილოგრამი.

განსაცვიფრებელ შედეგებს აღწევენ ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ახალსოფლის მილიონერი კოლმეურნეობის „დამკვრელის“ რგოლის ხელმძღვანელმა ოლია ქანთარიამ ჰექტარზე მიიღო 9.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც სარეკორდო ციფრია. ამის მიღწევა რგოლის წევრებმა შესძლეს იმით, რომ ნაკვეთზე ყველა სამუშაოს თვითონ ასრულებდნენ, სწავლობდნენ ყოველი ბუჩქის თავისებურებას, დროზე აწვდიდნენ სასუქს, დროზე ბარავდნენ, აფხვიერებდნენ ნიადაგს, განუწყვეტელ კრეფას აწარმოებდნენ. ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის პირველმა რგოლმა მიხეილ მოსიას ხელმძღვანელობით ჰექტარზე მიიღო 7.350 კილოგრამი, გუგუ ყუფუნიას რგოლმა—8.800 კილოგრამი.

ზუგდიდი.
ლენინის ძეგლი ქალაქის ბაღში.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ამ კოლმეურნეობას ეჯიბრება მეორე ნორჩი მილიონერი ს. რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც საშუალოდ საკოლმეურნეო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.450 კილოგრამამდე აიყვანა. ცალკე ბრიგადებსა და რგოლებში საშუალო მოსავლიანობა 4.000 - 5.000 კილოგრამს და კიდევ მეტს აღწევს.

მაღალი მოსავლიანობა კოლმეურნეთა კეთილდღეობის უშრეტ წყაროდ გადაქცეულა. კოლმეურნეობა „დამკვრელის“ წევრის გუგუ ყუფუნიას ოჯახმა 13.322 მანეთი მარტო ფულად მიიღო კოლმეურნეობიდან, მარცვლეული კი—1.900 კილოგრამი. ანდრი შეროზიას ოჯახმა 15.444 მანეთი მიიღო ფულად და 2.100 კილოგრამი მარცვლეული. მისმა ოჯახმა გამოიმუშავა 1.188 შრომადღე. მყნობელმა დავით ყურაშვილმა 434 შრომადღე გამოიმუშავა. მას ხვდა 5.300 მანეთი ფულად და 800 კილოგრამი მარცვლეული.

იზრდებიან და ჰყვავიან ზუგდიდის რაიონის სოფლები. ორსანტია, ოდესღაც ქოხმახებით მოფენილი, დღეს კარგად მოზრდილ დაბას წარმოადგენს. 2.237.000 მანეთი, რაც ამ კოლმეურნეობამ გასულ წელს მიიღო დასტყობია მის კულტურულ და მდიდრულ სახეს. ასევე ითქმის სოფელ რუხზე. ახალი ოდები, ახალი ნივთები, ახალი ადამიანები — ირგვლივ სიხალისე და ენტუზიაზმია. სწრაფად იზრდება მოსახლეობის რიცხვი. მაგალითად, რუხის სასოფლო საბჭოში 1930 წელს მცხოვრებთა რიცხვი 1.000 კაცამდე იყო. 1940 წლის დამდეგს მცხოვრებთა რიცხვი 3.000-ს აღემატება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 200 კოლმეურნემ აიშენა ახალი ოდა.

მარტო რუხში 13 მრავალშვილიანი დედა ყოველწლიურ დახმარებას იღებს სახელმწიფოსაგან. საამური ცხოვრება მოხუცსაც კი ჯანს ჰმატებს. ესმა ლურწკაია 80 წლის მოხუცია, მაგრამ ახალგაზრდებს არ ჩამორჩება—300-მდე შრომადღე გამოუმუშავებია შარშან.

რაიონის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ საბჭოთა მეურნეობანი: ჯოლევჯიანის და ნარაზენის ჩაის მეურნეობები და ანაკლიის ლიმონ - მანდარინის საბჭოთა მეურნეობა.

ჯოლევჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც 1938 წლის კარგი მუშაობისათვის საგამოფენო კომიტეტისაგან ჯილდო დაიმსახურა, 1939 წელს სოცშეჯიბრების კიდევ უფრო გაშლით ახალ გამარჯვებებს მიაღწია. მეურნეობის სტახანოველები ყოველწლიურად ადიდებენ ჩაის მოსავლიანობას. ეს ჩანს უკანასკნელი სამი წლის მაგალითზე. 1937 წელს მეურნეობამ მოჰკრიფა 214 ტონა, 1938 წელს—572, ხოლო 1939 წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 793 ტონისა მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 802,1 ტონა ჩაის ფოთოლი.

ამ მეურნეობის მოწინავე ადამიანები, აგრონომები: ძაკუ ქიქავა, ვანო გოგიბერიძე, საშა სიხარულიძე, აგროტექნიკოსები: კ. გეთია, ვ. გურალია, სტახანოველი მკრეფავები: მარიამ კუმენკო, ანა გრემენცოვა, ევდოკია ვინიჩენკო, ეკატერინე სემენცოვა, პოლია კოვალიოვა შარშან მონაწილეობდნენ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

მათი მუშაობის მაღალმა შეფასებამ, გამოფენაზე მიღებულმა გამოცდილებამ მეურნეობის კოლექტივი ახალი გამარჯვებისათვის აღაფრთოვანა. ჩაის კრეფასთან ერთად კოლექტივმა ყველა სახის სამუშაო გადაჭარბებით შეასრულა. აგროტექნიკოსმა ვარლამ გეთიამ, რომელიც პირველი რაიონის მეხუთე საწარმოო ბრიგადას ხელმძღვანელობს, სოცშეჯიბრებაში ყველა ბრიგადის ხელმძღვანელს გაუსწრო. მას შარშან თავისი სამი სტახანოველი ჰყავდა გამოფენაზე, წელს მთელი ბრიგადა მიჰყავს, რადგან ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა აიყვანა 4.523 კილოგრამამდე და იკისრა ვალდებულება მიმდინარე წლისათვის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 5.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გამოფენის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან ახალი მოწინავე ადამიანები: აგრონომები: კორთხონჯია, ფაჩულია, გვასალია, ქარჩავა, რომლებმაც ჩაის მოსავლიანობა დიდად გაზარდეს, სტახანოველი მკრეფავები: ნადია დელგისი, ელენე აბაშიძე, მარია საპკოვა და სხვები, რომლებმაც სეზონში 3-დან 4 ათას კილოგრამამდე ჩაი მოჰკრიფეს.

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამაც გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა და შარშან სახელმწიფოს მისცა 902,1 ტონა ჩაის ფოთოლი. ანაკლიის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობამ ციტრუსების დამზადების გეგმა შარშან 166 პროცენტით შეასრულა, ჩააბარა რა სახელმწიფოს 5.600 კილოგრამი ციტრუსოვანი ნაყოფი.

ასე წარმატებით მუშაობენ ზუგდიდის რაიონის საბჭოთა მეურნეობები და მილიონებს ჰმატებენ სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას.


საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის შენობა (ყოფ. დადიანის სასახლე).
ფოტო რ. აკოფოვისა.

ვის ლოცავდნენ ახალსოფლელები

ეს იყო 30 იანვარს. ნორჩი მილიონერის — ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ გამგეობის შენობის წინ მინდორზე შეკრებილიყვნენ კოლმეურნეობის წევრები. საერთო კრება ჰქონდათ. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1939 წლის შედეგები და ახალი წევრების მიღება.

მომხსენებელი, პატარა ტანის, გამხდარი, ნაყვავილევი ახალგაზრდა, მკვირცხლი, გამჭრიახი თვალებით, აღგზნებით უკეთებდა ჯამს 1939 წლის მუშაობის შედეგებს.

— კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი შარშანწინ 618.000 მანეთს უდრიდა. გასულ წელს მივიღეთ 1.066.622 მანეთი. შრომადღეებზე განაწილდა 832 ათასი მანეთი. განუყოფელ ფონდში გვაქვს 100.334 მანეთი. ჩაიდან მივიღეთ 288.205 მანეთი. პრემია ხარისხისათვის 19.839 მან. მანდარინის ნერგების რეალიზაციიდან—81.372 მანეთი.

— ამხანაგებო, შარშან შემოგვემატა 42 კომლი 132 წევრით. ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში 252 კომლია, 724 წევრით. 56 კაცი წელს გახდა სტახანოველი. სულ გვყავს 114 სტახანოველი, აქედან 60 გამოფენის კანდიდატია.

— შრომადღეზე შარშან გავეცით 10 მან. 20 კაპ. ფულად და 2 კილოგრამზე მეტი ნატურით, წელს შრომადღეზე მოდის 13 მანეთი ფულად და ორ კილოგრამამდე მარცვლეული.

— ჩაის მოსავლიანობის ზრდა, ამხანაგებო, შემდეგ სურათს გვიჩვენებს. 1937 წელს ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 1.900 კილოგრამი, 1938 წელს—2.750, 1939 წ.—3.746 კილოგრამი. რაც შეეხება ტუნგოს, ჰექტარზე მივიღეთ 10.300 კილოგრამი. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ტუნგოს ხაზით, როგორც იცით, საკმარისია 7.000 კილოგრამი. ამრიგად, ჩვენი კოლმეურნეობა წელს ტუნგოთიც მიდის გამოფენაზე...

— ასეთია მოკლედ ჩვენი მუშაობის შედეგები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ანთიმოზ როგავამ ქაღალდები ხელში დაჰკეცა, გადახედა კოლმეურნეთა გაბრწყინებულ სახეებს და დასძახა:

— ამხანაგებო, გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელმაც ასეთი ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა. გაუმარჯოს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

გრიალებდა ტაში, გაისმოდა წამდაუწუმ ყველაზე საყვარელი ადამიანის სახელი და ყოველი შეძახილი იყო გულიდან ამოხეთქილი უსაზღვრო მადლობა დიდი **სტალინისადმი.**

საწყალი ტაგუიას აჩრდილი თითქოს ამ კრებაზე ტრიალებდა და ღვინით სავსე ჩალამ-კალამით თავის სადღეგრძელოს იმეორებდა.

კრებამ ამ დღეს ექვსი ერთპიროვნული გლეხი მიიღო კოლმეურნეობის წევრად. ახლა ყველას უნდა „კომუნა“.

გერმან გიორგაძე

რუმინეთის ჟურნალი ამჟღავნებს ინგლის-საფრანგეთის ბლოკის მოქმედებას ფინეთში

ბუქარესტი, 10 თებერვალი (საკდესი). ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ჟურნალი „ვიაცა რომანიასკას" („რუმინეთის ცხოვრება") იანვრის ნომერში, ომის ქრონიკის განყოფილებაში მოთავსებულია სტატია: „რუსეთ-ფინეთის კონფლიქტი". რუმინეთის პრესის საერთო ანტისაბჭოთა ფონზე ეს სტატია დისონანსს წარმოადგენს. სტატიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუმინეთის საზოგადოებრიობაზე. იგი ძლიერ არ მოეწონა რუმინეთის გენერალურ შტაბს. მისი პროტესტის გამო „ტიმპულმა" გუშინ ცნობა მოათავსა, სადაც აღნიშნულია: ჟურნალ „ვიაცა რომანიასკას" ეს სტატია „რედაქციის აზრს არ გამოხატავს", სტატია დაუდევრობით გაიპარა და მისი ავტორი ჟურნალისტთა სიიდან გარიცხულიაო.

ჟურნალი მყიდველებმა დაიტაცეს და ამჟამად გასაყიდად აღარ იშოვება.

სტატიის ავტორი აღნიშნავს: ინგლის-საფრანგეთ - გერმანიის ომის გარშემო გაჩაღებული პოლიტიკური ვნებათა ღელვა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ნამდვილი ურთიერთობის გამორკვევას აძნელებსო. შემდეგ ავტორი სწერს: „ფინეთი, რომელიც სსრ კავშირს ებრძვის, გერმანიის ჯარმა შექმნა ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით. მათ ფინეთი შექმნეს როგორც საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის პლაცდარმი. 1940 წლამდე ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბები ფინეთს მეურვეობას უწევდნენ. ინგლისის არმიის მთავარსარდალი, გენერალი გოტი ფინეთის არმიის ორგანიზატორი იყო. ინგლისის გენერალური შტაბი თავის საუკეთესო ძალებს ჰგზავნიდა ფინეთში. ეგრეთწოდებულ „მანერჰაიმის ხაზს" შეცდომით ჰქვია ეს სახელი. იგი ინგლისელი გენერლის კირკის გაკეთებულია".

შემდეგ ავტორი დაწვრილებით აშკარავებს მიზეზს და შუცკორელთა ზურგს უკან მდგომ ინგლისელ იმპერიალისტთა მიზანს. იგი სწერს: „საბჭოები, ევროპის დანარჩენი ქვეყნებისაგან განსხვავებით, საკმაოდ უვნებადია არა მარტო ხმელეთიდან, არამედ ჰაერიდანაც, რადგან მათი ყველაზე დიდი სამრეწველო ცენტრები დიდი მანძილით არის დაშორებული საზღვრებს. საბჭოების შედარებით უვნებადობას ერთადერთი ნაკლი აქვს—ლენინგრადის ოლქი. აქ სულ სხვა მდგომარეობაა. ევროპის არცერთი სხვა ქვეყანა არ დააყენებდა ესოდენ დიდ საფრთხეში ისეთს კოლოსალურ სამრეწველო ცენტრს, როგორიც არის ლენინგრადი, სადაც 3½ მილიონი მოსახლეობაა და სადაც თავმოყრილია მანქანათა ნაციონალური პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ინგლისის გენერალურმა შტაბმა თავისი მოქმედებით ნათლად დაამტკიცა, რომ მას განზრახვა აქვს შეძლებისდაგვარად განამტკიცოს ფინეთი როგორც პლაცდარმი, რომლის შემწეობითაც იგი ყოველთვის შესძლებს უაღრესად დიდი ზეგავლენა მოახდინოს ლენინგრადზე. ინგლის - საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს, რომელიც პაქტის დადებით უნდა დამთავრებულიყო, ჩემბერლენის მთავრობა არ დასთანხმდა ხელი აეღო ბალტიკის რაიონში თავის სტრატეგიულ პოზიციებზე, რომელთა მიზანიც, რა თქმა უნდა, ლენინგრადის ოლქი იყო. ამ უარის გამო, ისევე როგორც სხვა მიზეზებითაც, პაქტის ხელმოწერა შეუძლებელი გახდა. მშვიდობიანობის საფუძველი აფეთქებულ იქნა, და სსრ კავშირის ხელმძღვანელთა წინაშე დადგა ამოცანა—რაც შეიძლება მალე გაეთავისუფლებინათ რუსეთის მეორე ქალაქი და ჩრდილოეთის საბჭოთა ოლქი თავდასხმის იმ ბაზებისაგან, რომლებიც მას გარს არტყია. ამრიგად, ფინეთის მიწა-წყალზე ვითარდება ერთერთი თავი ინგლისის ტრადიციული ანტისაბჭოთა პოლიტიკისა, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს დაიწყო.

რით უნდა აიხსნას ის, რომ ინგლისის დიპლომატია, რომელსაც შესაძლებლობა არა ჰქონდა ან არა სურდა სამხედრო დახმარება აღმოეჩინა ფინეთისათვის, მაინც მხარს უჭერდა ფინეთის უარს, თუმცა ცხადი იყო, რომ რუსეთი დაჟინებით მოითხოვდა თავისი პირობების მიღებას და ამისათვის, თუ საჭირო იქნებოდა, იარაღსაც მიჰმართავდა? ინგლისის დიპლომატიის თამაშს გარკვეული აზრი ჰქონდა. საჭირო იყო ყოველგვარი ხერხით და, რადაც უნდა დამჯდარიყო, პროვოკაციულად შეექმნათ ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდებოდა აგრესორის როლში გამოეყვანათ საბჭოთა კავშირი. ომის წარმოებისათვის საჭიროა არა მარტო იარაღის ხმარება, არამედ ჯარისა და ნაციის მორალური მდგომარეობის გათვალისწინებაც. მოსკოვის მიერ ნეიტრალიტეტის მტკიცე პოზიციის დაცვა და მშვიდობიანობისაკენ მოწოდება უხერხულობას ჰქმნიდა. საჭირო იყო დივერსია მოეწყოთ, ყველაფერი დაერაზმათ იმისათვის, რომ ომით შექმნილი უკმაყოფილება მთავრობების წინააღმდეგ არ მიმართულიყო".

სტატიის ავტორი შემდეგ დახასიათებას აძლევს მანერჰაიმს: „მანერჰაიმმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის გულისათვის დახვრიტა მუშები, შემოიღო ტერორი, შიმშილით დახოცა ქალები და ბავშვები საკონცენტრაციო ბანაკებში. მანერჰაიმის საქმიანობამ ინგლისშიც კი ზიზღი გამოიწვია".

იმ დროს, როდესაც რუმინული პრესა, იმეორებს რა ინგლისური და ფრანგული პრესის ნათქვამს, სწერს, რომ წითელი არმიის ნელი წინსვლა თეთრფინელთა „გმირობისა" და წითელი არმიის სისუსტის შედეგიაო, ავტორი ამას ასე ხსნის: „ფინეთი მეტად თავისებური ქვეყანაა, ამ ქვეყნის ტერიტორიის 75 პროცენტი ტყით არის დაფარული. მას კარგი გზები არ გააჩნია, ზამთარში იქ ძალიან დიდი თოვლი იცის. გეოგრაფიული და ჰავის პირობების გამო საბჭოთა ჯარის მოძრაობის რიტმი ნელი უნდა იყოს. გარდა ამისა, ფინელები ყველაფერს სწვავენ. საბჭოთა ჯარისკაცები ღია კარვებში ათევენ ღამეს. იქ კი საშინელი სიცივეებია, და საბჭოთა ჯარისკაცებმა თვითონ უნდა გააკეთონ ხოლმე იმპროვიზებული ღუმელები. საბჭოთა ჯარმა აგრეთვე კავშირი უნდა მოაგვაროს ზურგთან და ცენტრთან. ესეც გავლენას ახდენს საბჭოთა ჯარის მოძრაობის ტემპზე. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ, როცა ფრონტზე არსებულ მდგომარეობას ვაფასებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომა მოგვივა".

შემდეგ ავტორი ანალიზს უკეთებს წითელი არმიის საომარ წარმატებებს და სწერს: „წითელი არმიის გენერალური შტაბი სრულიადაც არ ვარაუდობდა ელვისებურ დარტყმასა და წარმატებას. რუსეთის არმიას წინ უდგას თანამედროვე ღრმა ფორტიფიკაციები, რომლებსაც ევროპის დიდი სახელმწიფონი ოთხი წლის განმავლობაში აშენებდნენ, ამის მიუხედავად საბჭოთა ჯარმა ეს დაბრკოლებანი უკვე რამდენიმე პუნქტში გადალახა და, დაამტკიცა, რომ იგი უნარიანი სამხედრო ძალაა".

ომი დასავლეთ ევროპაში

პარიზი, 10 თებერვალი. პარიზში გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია: „მოზელსა და საარს შორის მდებარე ფრონტის უბანზე ორივე მხარის არტილერია გაცილებით უფრო აქტიურად მოქმედებდა. მოწინააღმდეგის თავდასხმა მოგერიებულ იქნა".

დილის კომუნიკეში ნათქვამია: „ფრონტზე ახალი არაფერი მომხდარა".

O

ბრიუსელი, 10 თებერვალი. გაზეთ „ჟურნალის" სამხედრო მიმოხილვაში ნათქვამია: „აღმოსავლეთ რაიონებში დათბა და ამის გამო რაინის დონემ 3 მეტრით იმატა. ამასთან დაკავშირებით, მაჟინოსა და ზიგფრიდის ხაზების განშტოებაზე მუშაობა სწარმოებს მოსალოდნელი ძლიერი წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად. ზღვაში, გარდა გერმანიის ერთი წყალქვეშა ნავის ჩაძირვისა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გერმანიის თვითმფრინავები დაფრინავდნენ ინგლისის სანაპიროებზე".

O

ბერლინი, 10 თებერვალი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება: „დასავლეთის ფრონტზე საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ზოგიერთ პუნქტში პატრულებს შორის შეტაკება ხდებოდა. ამასთან მტერს ზარალი მოუვიდა. გერმანიის პატრულთა შემადგენლობიდან ორი დაჭრილი უკვალოდ დაიკარგა. მტრის წინააღმდეგ წარმოებული საზვერავი ოპერაციის დროს ხელში ჩავიგდეთ საყურადღებო ცნობები. გერმანიის მფრინავებმა გამოარკვიეს, რომ მტრის შეიარაღებულ სავაჭრო გემებს ინგლისის მსუბუქი და საშუალო სამხედრო გემები ბადრაგობენ". გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „დასავლეთის ფრონტზე არავითარი განსაკუთრებული ამბავი არ მომხდარა. გერმანიის სამხედრო - საჰაერო შენაერთებმა, ჩრდილოეთის ზღვაში საბრძოლო დაზვერვის ჩატარების დროს, ჩასძირეს ინგლისის 6 გემი და აგრეთვე ინგლისის სამხედრო გემების ბადრაგობით მიმავალი გემები, რომელთა საერთო წყალწყვა დაახლოებით 15 ათას ტონას შეადგენს. ჩაძირულ იქნა აგრეთვე ორი საყარაულო ხომალდი. მიუხედავად ძლიერი საზენიტო ცეცხლისა და ავიაგამანადგურებელთა მოქმედებისა, თავის ბაზაში არ დაბრუნებულა გერმანიის მხოლოდ ერთი თვითმფრინავი. გუშინ, საღამოს, ინგლისის ზოგიერთი თვითმფრინავი ცდილობდა გერმანიის ყურეში შესვლას, მაგრამ ისინი გარეკილ იქნენ".

თეთრფინელებისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოვდება მოძრაობა თეთრფინელებისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ. გაზეთ „დეილი უორკერის" ცნობით, ქალაქ ბალტიმორში ბევრმა ორგანიზაციამ, მათ შორის პროფკავშირთა (რომელნიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედიან) ადგილობრივმა საბჭომ, გაილაშქრა თეთრი ფინეთისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ.

ამერიკელი ხალხის ფართო მასების განწყობილებას ახასიათებს აგრეთვე ის ანკეტა, რომელიც გაზეთმა „ბიკონ ჯორნელმა" გაავრცელა რეზინის მრეწველობის დიდ ცენტრში—ქალაქ ეკრონში (ოგაიოს შტატი). იმ პირთა 88 პროცენტმა, რომლებმაც პასუხი გასცეს ანკეტაში დასმულ კითხვებზე, თეთრფინელებისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ გამოსთქვა აზრი.

გაზეთ „დეილი უორკერის" კორესპონდენტი სიეტლიდან (ვაშინგტონის შტატი) იუწყება, რომ ერთერთ კრებაზე, რომელსაც 1.100 კაცი დაესწრო, მიღებული იქნა რეზოლუცია, სადაც კრების მონაწილენი მოითხოვენ, რათა ამერიკის მთავრობამ „დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ფართო მასების საარსებო მოთხოვნილებანი და შესწყვიტოს ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც ოდნავ მაინც ჰქმნის იმის საფრთხეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩაბმულ იქნებიან ევროპის ომში".

იაპონიის პარლამენტის სესიაზე

ტოკიო, 10 თებერვალი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება: 9 თებერვალს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე შეკითხვა შეიტანა სიაკაი ტაისიუტოს პარტიის წევრმა მიაკემ. მიაკემ დაჟინებით მოითხოვა, რათა მთავრობამ ზომები მიიღოს ჰოლანდიური ინდოეთის ბუნებრივი რესურსების დასამუშავებლად და პირობები შექმნას იაპონელთა უფრო ფართო ემიგრაციისათვის ამ ქვეყანაში, აგრეთვე ვაჭრობისათვის როგორც ჰოლანდიურ ინდოეთთან, ისე ფილიპინებთან.

ამავე დროს მან წინადადება შეიტანა — თავდაუსხმელობის პაქტი დაიდოს ჰოლანდიასთან იმ მიზნით, რათა ამით დადასტურებულ იქნას, რომ სამხრეთის ზღვების ამ რაიონში იაპონიის ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვს.

უპასუხა რა მიაკეს შეკითხვას, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ აღნიშნა: იაპონიისათვის საჭირო და აუცილებელია სამხრეთის ზღვების ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარებაო. ამასთან მან აღნიშნა: „იაპონიის მთავრობა არაფერს ზოგავდა და არაფერს ზოგავს, რათა გააქარწყლოს თავისი პოლიტიკის გაუგებლობა, რაც ჯერ კიდევ არსებობს. ამ მხრივ წინადადება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ სავსებით დასაბუთებულია".

გაზეთმა „მიაკომ" გამოაქვეყნა ქვედა პალატის დეპუტატის, სეიუკაის პარტიის „განახლების" ჯგუფის წევრ ხორიკირის ინტერვიუ. ხორიკირომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადასახადების გადიდება სათვალავით მეოთხეა ჩინეთის ამბების დაწყების მომენტიდანო.

გაზეთი „ასახი" აღნიშნავს, რომ საგადასახადო რეფორმისა და რესურსების მობილიზაციის საკითხებზე კამათი ქვედა პალატის დახურულ სხდომაზე სწარმოებდა. მინისტრების მიერ ამ საკითხებზე მოცემულმა განმარტებებმა დეპუტატები ვერ დააკმაყოფილა, და მათ მეორე დახურული სხდომის მოწვევა მოითხოვეს ამ საკითხების შემდგომი განხილვისათვის.

საფრანგეთის საზღვაო მინისტრის განმარტებანი

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება: საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა კამპინკიმ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა და საფრანგეთის მოსახლეობას მოუწოდა უფრო აქტიურად მოაწეროს ხელი სამხედრო სესხს, რათა მთავრობას დაეხმაროს ომის წარმოებასა და სამხედრო დაკვეთების ანაზღაურებაში. კამპინკიმ მოიყვანა ციფრები, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ რა ჯდება საზღვაო ფლოტის საომარი ოპერაციები რამდენიმე წუთში: „200 კილოგრამი წონის ღრმად ჩამწვდომი ყუმბარა, რომელიც წყალქვეშა ნავის წინააღმდეგ იხმარება, ღირს 6.000 ფრანკი, ნაღმი — 75.000 ფრანკი, ტორპედი— 530.000 ფრანკი. ერთი წყალქვეშა ნავი რომ ჩაეძირა, საფრანგეთის ნაღმოსან „სიროკოს" ცხრა ღრმად ჩამწვდომი ყუმბარა უნდა დაეხარჯა. ეს 54.000 ფრანკად დაჯდა. კრეისერ „ფოშის" ქვემეხების სროლა ერთი წუთის განმავლობაში 72.000 ფრანკად ჯდება. სახაზო ხომალდი „დიუნკერკი" 1 მილიარდზე მეტი ფრანკი ღირდა, ხოლო სახაზო გემი „რიშელიე" 2 მილიარდ ფრანკად დაჯდა".

ამ განმარტებებით საფრანგეთის მოსახლეობისათვის ცხადი გახდება, თუ რა უჯდება მას ომი, რომელიც კაპიტალისტებს ამდიდრებს.

საპოლიციო დაცვის გაძლიერება ლონდონში

ბერლინი, 9 თებერვალი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ინგლისის პოლიცია ბერნსისა და რიჩარდსის სიკვდილით დასჯის შემდეგ განაგრძობს ღონისძიებათა მიღებას უშიშროების გასაძლიერებლად. როგორც აქ ამტკიცებენ, პოლიცია შიშობს, ვაი თუ „ირლანდიის" რესპუბლიკური არმიის" პარტიამ გააძლიეროს მოქმედებაო. კერძოდ, გაძლიერებულია საზოგადო შენობათა, ვაგზალთა და სამრეწველო ცენტრთა დაცვა. ოფიციალური პირნი საჯარო ადგილებში პოლიციის თანხლებით გამოდიან. ლონდონის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი უბნები ბევრჯერ გასჩხრიკეს.

საბჭოთა კინოფილმის „ლენინი 1918 წელს" საზოგადოებრივი გასინჯვა კაუნასში

კაუნასი, 10 თებერვალი (საკდესი). გუშინ კაუნასის ერთერთ საუკეთესო კინოთეატრში მოხდა გასინჯვა საბჭოთა კინოფილმისა „ლენინი 1918 წელს". გასინჯვა მოაწყო სსრ კავშირის ხალხთა კულტურის შემსწავლელმა ლიტვის საზოგადოებამ. განხილვას დაესწრნენ ლიტვის პრემიერ-მინისტრი მერკისი, საგარეო საქმეთა მინისტრი ურბშისი, თავდაცვის მინისტრი გენერალი მუსტეიკისი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ლიტვის არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელნი, მწერლები, ჟურნალისტები, მსახიობები და სხვები. ამ შესანიშნავმა ფილმმა მაყურებელთა უდიდესი აღტაცება გამოიწვია.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა საფრანგეთის მთავრობაში არსებული უთანხმოების შესახებ

ბერლინი, 10 თებერვალი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბრიუსელიდან იუწყება: ბელგიის ჟურნალ „სიტე ნუველმა" ცნობა გამოაქვეყნა, რომ საფრანგეთის მთავრობაში სერიოზული უთანხმოება არსებობსო. ამის გამო შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ მთავრობის შემადგენლობაში პერსონალური ცვლილებები მოხდება. ბელგას სააგენტო დაწვრილებით იუწყება საფრანგეთის მთავრობის მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ. როგორც ამბობენ, დალადიე სამხედრო სამინისტროს ჩააბარებს გენერალ გამელენს ან გენერალ ნოგესს. შინაგან საქმეთა მინისტრი სარო თავის პოსტს დაუთმობს შოტანს პრემიერ-მინისტრის ახლანდელ მოადგილეს. შეიქმნება ინფორმაციის სამინისტრო. ამ სამინისტროს სათავეში ჩაუდგება ახლანდელი შრომის მინისტრი პომარე. შრომის მინისტრად, პომარეს ნაცვლად, დაინიშნება დეპუტატთა პალატის რადიკალ-სოციალისტური ფრაქციის თავმჯდომარე შიურო. ავიაციის მინისტრი გი ლა, შამბრიც გამოვა მთავრობის შემადგენლობიდან, მაგრამ არა დაუყოვნებლივ, არამედ ცოტა ხნის შემდეგ.

სენტრალ ნიუსის სააგენტო იაპონელთა ზარალის შესახებ ჩინეთში

ჩუნცინი, 10 თებერვალი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს მიერ გუშინ გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, იაპონელებმა ჩინეთში ომის 30 თვის განმავლობაში 1.400 ათასი კაცი დაჰკარგეს. საზღვაო ფლოტის, საზღვაო ქვეითი ჯარისა და ავიაციის დანაკლისი 90 ათას კაცს უდრის. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ერთმანეთს შეეფარდება, როგორც 1:4.

პოლიციელთა თავდასხმა შვეციის კომპარტიის ორგანიზაციებზე

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება დღეს დილით სტოკჰოლმში 300 პოლიციელი თავს დაესხა შვეციის კომუნისტური პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციათა ბინებს. კერძოდ, გაჩხრიკეს გაზეთ „ნიუდაგის" რედაქცია; რედაქტორი გუსტავ იოჰანსონი დააპატიმრეს. იმის გარდა დააპატიმრეს მრავალი სხვა პირიც.

O

სტოკჰოლმი, 10 თებერვალი (საკდესი). როგორც შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს დილით პოლიციამ მასობრივი ჩხრეკა მოახდინა ლულეოს, მალმეს, გეტებორგისა და სუნდსვალის კომუნისტური გაზეთების რედაქციებში. ამავე დროს გაჩხრიკეს ცალკეული კომუნისტებისა და აგრეთვე ნორდჩეპინგის, ნორბოტენისა და ვესტერასის პარტიული კომიტეტების ბინები. როგორც სააგენტო იუწყება, ჩხრეკას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

საფრანგეთში კომუნისტებს სდევნიან

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პოლიციამ გამოაცხადა, რომ ვინიე სიურ სენში დაპატიმრებულია 31 კომუნისტი. კომუნისტების დევნა გრძელდება მთელს საფრანგეთში.

დიდი ხანძარი რუმინეთში

ბერლინი, 10 თებერვალი (საკდესი). ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ 8 თებერვალს ნაშუადღევს ქალაქ ფილტიჩენში (ბუკოვინა) დიდმა ხანძარმა იფეთქა. ცეცხლი სწრაფად მოედო მთელ ქალაქს. დროულად მიღებული ღონისძიებებით თავიდან აიცილეს ბენზინსაცავის აფეთქება. ოთხ ქუჩაზე ცეცხლმა სულ მთლად გაანადგურა ყველა შენობა.

ზანგი მოკრივის ჯო ლიუისის გამარჯვება

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი (საკდესი). ცნობილი ზანგი მოკრივე ჯო ლიუისი ამ დღეებში ასპარეზზე შეხვდა ჩილიელ მოკრივეს გოდოის. მე-15 რაუნდში ლიუისმა აჯობა მოწინააღმდეგეს და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის სახელწოდება მძიმე წონაში.

სანდრო ეული

გუშინ საქართველოს საბჭოთა მწერლების საზოგადოებრიობამ აღნიშნა სანდრო ეულის პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავი.

სანდრო ეული სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1910 წელს. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მეფის რეაქცია მძვინვარებდა, საზოგადოებრივი ცხოვრება და ლიტერატურა დაკნინებას განიცდიდა. ამ დროს ბოლშევიკური პარტია, იატაკქვეშეთიდან რაზმავდა მუშათა კლასს, აღვიძებდა მასში რევოლუციურ თვითშეგნებას, ამზადებდა ახალი გადამწყვეტი შეტაკებისათვის შავ რეაქციასთან. მუშათა მოძრაობაში ჩამოყალიბდა ს. ეულის პოლიტიკური შეგნება, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა იგი ბაქოს მუშათა წრეში მოხვდა. ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსულ პოეტს, რომელსაც ყრმობაში გაჭირვების და სიღატაკის მეტი არაფერი უნახავს, აფიქრებდა:

„...ასე რად გვიჭირს?
რატომ ვიზრდებით ტანჯვაში ობლად?..
და ტანზე ძონძებს როდის გავიხდი?".

და სწორედ აქ, ბაქოს მუშებში, სადაც ბოლშევიკურ აგიტაციას მტკიცედ ჰქონდა ფესვი გადგმული, ჰპოვა პოეტმა პასუხი სოციალური უკუღმართობის ამ კითხვებზე.

სანდრო ეული რევოლუციამდელი პოეტების იმ მცირერიცხოვან წრეს ეკუთვნის, რომელსაც რეაქციის სუსხიან წლებში არ გაქრობია მუშათა კლასის გამარჯვების რწმენა და იმედი.

„—მოდი, შევუთხზათ ჩვენ სიმღერა
მომავლის დღეებს, —
თუ აწმყოს ჩვენსას ფარავს ღამის
ზეწარი შავი,
მზიანი დილით
ჩვენ ვიმღერებთ
ახალ სიმღერებს..."

აი, დადგა „მზიანი დილა"! ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ თავისი ცხოველმყოფელი სხივებით პოეტის სამშობლოშიც შემოანათა. საქართველო მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკების რიგებში ჩადგა. სანდრო ეული ცდილობს ასახოს თავის შემოქმედებაში განახლებული სამშობლოს დიადი მიღწევები. დიდი გულწრფელობით და სიყვარულით ეხმაურება ის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს, უმღერის გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობას მთელი თავისი პოეტური ხმით.

განსაკუთრებით გამოირჩევა პოეტის შემოქმედებაში ის ლექსები და პოემები, რომლებიც მას მიძღვნილი აქვს პროლეტარიატის დიდი ბელადებისა და მასწავლებლების **ვ. ი. ლენინისა** და **ი. ბ. სტალინისადმი.** „ორი ბელადი", „ფოლადის პოეტი", „ეპოქის ავტორი" და მრავალი ლირიკული ლექსი მშრომელი ხალხის ბელადებისადმი, გულწრფელი სიყვარულით არის გამთბარი.

სოციალისტური მშენებლობის ყველა გამარჯვებაში ს. ეული ხედავს პარტიას, დიდ ბელადს და უმღერის მათ:

„ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი,
არის უხვი და ბარაქიანი...
ჩვენმა ქვეყანამ შესთხზა სიმღერა,
მილიონების მრავალხმიანი —
დიდო ბელადო, მას გიმღერს მიწა,
მაღალი მთები თეთრითმიანი".

საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოს ერთგულების და მისთვის თავდადების მაღალ გრძნობებს ამჟღავნებს პოეტი თავის ლექსებში და ყოველი ახალი ნაწარმოები მისი პოეტური ზრდის მაჩვენებელია. მართალია, მის ლექსებს ყოველთვის არ ახასიათებს დახვეწილი პოეტური ტექნიკა, მაგრამ უთუოდ ამჟღავნებენ ავტორის მაღალ იდეურობას, მის მებრძოლ ტემპერამენტს.

„მაშ, წინ, ლენინის მზიურ დროშით,
ნორჩო თაობავ,
გადაშლილია ფართო გზები
შრომის და ბრძოლის,
ნაცად ხელშია ჩვენი ქვეყნის
წინამძღოლობა. —
და ფრთა გაშლილი ნეტარება
ფიქრის და ლტოლვის",—

მიმართავს პოეტი ლენინ-სტალინის ეპოქის ბედნიერ თაობებს, აღფრთოვანებული იმით, რომ:

„დღეს ჩვენ არ ვიცით, რა არის
დაღლა,
მივქრივართ წინ და სულ მაღლა,
მაღლა".

ა. ბარათელი.

სანდრო ეულის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო

გუშინ, 11 თებერვალს პოეტ სანდრო ეულის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით მწერალთა კლუბში გაიმართა ს. ეულის შემოქმედებითი საღამო, რომელიც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით გახსნა პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა პოეტმა ირ. აბაშიძემ.

სანდრო ეულის შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ბესო ჟღენტმა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პოეტები და მწერლები—გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე, დ. შენგელაია, პროფ. კ. კაპანელი, ნ. ხაკაშიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. ვაკელი, ვ. გორგაძე და რ. ქორქია. მათ დაახასიათეს ს. ეული, როგორც მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების მომღერალი, რომელიც ახლა, მიუხედავად 30 წლის სამწერლო მოღვაწეობისა, განიცდის შემოქმედებითს აღმავლობას.

ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა ს. ეულმა. მან განაცხადა, რომ იგი, ისევე როგორც დღემდე, ეცდება გაამართლოს პარტიისა და საბჭოთა ხალხის იმედები და შექმნას ახალი სიმღერები დიად სტალინურ ეპოქაზე. თავისი სიტყვის ბოლოს ამხ. ს. ეულმა წაიკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი.

საღამოზე გამოაქვეყნეს დეპეშები, რომლებიც მიღებულია პოეტის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

უკრაინისა და საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლების სოციალისტური შეჯიბრება

1939 წლის თებერვალში უკრაინის და საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლებს შორის დაიდო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ორივე მომმე რესპუბლიკის ხალხური შემოქმედების მაქსიმალურად განვითარებასა და ურთიერთშორის გამოცდილების გაზიარებას.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად კიევს გაემგზავრა საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის სპეციალური ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში შედიან: ზ. სიხარულიძე, ლ. გეგეჭკორი, შ. გაბისკირია და ბ. ბეგიჯანოვი.

შეხვედრა კიევში

კიევი, 10 თებერვალი. **(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).** 10 თებერვალს კიევს ჩამოვიდა საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის მუშაკთა ბრიგადა, რომელსაც ვაგზალში შეხვდნენ უკრაინის ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი ნაუმ ვიტკუპი, მისი მოადგილე ალ. კაზიმიროვი, ლვოვის ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი გავრილიუკი, ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის და ხელოვნების მუშაკები. სტუმრების პატივსაცემად მოეწყო სადილი, რომელსაც დაესწრნენ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლები. წარმოითქვა სადღეგრძელო მოძმე უკრაინისა და საქართველოს კულტურათა განვითარებისათვის. დიდი აღფრთოვანებით წარმოსთქვეს სადღეგრძელოები სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის დიდი სტალინის, მისი უახლოესი თანამებრძოლების ვ. მოლოტოვის, კ. ვოროშილოვის, ნ. ხრუშჩოვის და ლ. ბერიას პატივსაცემად.

ბრიგადამ დაათვალიერა სახვითი ხელოვნების საკავშირო გამოფენა თემაზე: „ლენინი და სტალინი ხალხურ შემოქმედებაში", სადაც ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს საქართველოდან გაგზავნილი ნიმუშები სტასენკოსი, ტუმასის, გიორგი ავალიშვილის, დევკანცის, კოლმეურნე შალვა მურადაშვილისა და სხვ.

11 თებერვალს ბრიგადა შეუდგება სოცშეჯიბრის ხელშეკრულების შესრულების შემოწმებას.

თ. ფურცელაძე.

მზადება აკაკის იუბილესათვის

(მოსკოვი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ლიტერატურული მოსკოვი ემზადება დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის. 10 თებერვალს შესდგა მწერალთა კავშირთან არსებული ნაციონალური კომისიების ბიუროს სხდომა, რომელზედაც ქართული სექციის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გოლცევმა გააცნო დამსწრეთ იუბილესათვის მზადების გეგმა. მახლობელ დღეებში ამ გეგმას განიხილავს მწერალთა კავშირის საიუბილეო კომიტეტის გაფართოებული სხდომა. ამ კომიტეტის თავმჯდომარეა ალ. ტოლსტოი, მოადგილე—შ. დადიანი.

საიუბილეო დღეებში მოსკოვში განზრახულია მოეწყოს საზეიმო სხდომა და მოხსენებები ქარხნებში და კულტურულ დაწესებულებებში. სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობა გამოსცემს აკაკის „ჩემ თავგადასავალს" და რჩეული ლექსების ერთტომეულს, რომელშიაც შევა აკაკის ლექსები, თარგმნილი ანტოკოლსკის, ლიპსკეროვის, სპასკის, ბრიკის და სხვ. მიერ, სულ 8500 სტრიქონი.

გამოფენა — „საბჭოთა კინოტექნიკის პროგრესი"

მეტად საყურადღებო და საინტერესო გამოფენაა მოწყობილი რუსთაველის სახელობის კინოთეატრის ერთერთ ფოიეში. გამოფენას ეწოდება — „საბჭოთა კინოტექნიკის პროგრესი". მიუხედავად იმისა, რომ აქ საბჭოთა კინოტექნიკა მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, იგი მაინც იძლევა სრულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ განვითარდა საბჭოთა კინომრეწველობა, როგორ გაიზარდა ჩვენი კინომრეწველობის ბაზა.

გამოფენაზე წარმოდგენილ თანამედროვე, ურთულეს საბჭოთა წარმოების ხმოვანი კინოსაპროექციო აპარატურის გვერდით უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებენ მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგული ფირმის „პატეს" მიერ გამოშვებული კინოსაპროექციო აპარატები. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატი-აპარატები მნახველში ჰქმნიან იმის სრულ წარმოდგენას, თუ რამდენი იშრომეს საბჭოთა კონსტრუქტორებმა, რომ მიეღწიათ ხმოვანი კინოფილმების საპროექციო სრულყოფილი აპარატების შექმნისათვის.

გამოფენა დამშვენებულია ჩვენი დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ბრძნული ციტატებით კინოხელოვნების შესახებ. გამოფენილია აგრეთვე სხვადასხვა დიაგრამები, რომლებიც ასახავენ კინოფიკაციის განვითარების ეტაპებს საქართველოში.

1915 წელს საქართველოს ქალაქებში იყო 8 კინოდანადგარი. სოფლად მაშინ არცერთი კინოდანადგარი არ ყოფილა. 1921 წელს საქართველოს ქალაქებში 27 კინოდანადგარი იყო, ხოლო სოფლად არ იყო არცერთი კინოდანადგარი. ამჟამად კი საქართველოში 535 კინოდანადგარია. აქედან სოფლად—197 ხმოვანი და 64 უხმო კინოდანადგარი, ხოლო ქალაქებში—223 ხმოვანი და 51 უხმო.

ოცი წლის წინათ ჩვენ არ გაგვაჩნდა საბჭოთა წარმოების კინოაპარატურა. ახლა კი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ყველგან მხოლოდ საბჭოთა კინოდანადგარები მუშაობენ.

აღნიშნული გამოფენა გახსნეს 10 თებერვალს საღამოს და მას დიდძალი ხალხი ათვალიერებს.

კინოფესტივალი დაიწყო

10 თებერვალს თბილისში, რუსთაველის სახელობის კინოთეატრში დაიწყო საბჭოთა კინემატოგრაფიის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი. ამ დღეს ფესტივალის პირველ სეანსად უჩვენეს ფილმი—„ლენინი ოქტომბერში", მეორე და მესამე სეანსად კი უჩვენეს ფილმი „ლენინი 1918 წელს".

ფესტივალის სეანსებს დიდძალი მნახველი ჰყავს. მარტო პირველ დღეს კინოფესტივალის სეანსებს 4.000-მდე მნახველი დაესწრო.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „აიდა" (ტელ. № 115), **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები" (ტელ. № 113), **მარჯანიშვილის** სახელობის — „ვერაგობა და სიყვარული", **მუსკომედია**—„თივა და ავი ძაღლი", **სახესტრადა** — სომხურ ხელოვნების დეკადის მონაწილე აშუღთა გასტროლები.

კინოებში: **რუსთაველის** სახ.—I სეანსი „ჩაპაევი", II სეანსი „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", III სეანსი „საბჭოთა სამშობლოსათვის", **ოქტომბერი** — „მეოთხე პერისკოპი", **დამკვრელი** — „მეოთხე პერისკოპი", **კომკავშირელი** — „უკანასკნელი ბანაკი", **სპარტაკი** — „დასჯა", **ლუქსემბურგის** სახ. — „დათვი, ნიღაბი და ნალიმი", **26 კომ.** სახ. — „მიგდებული ბავშვი", **კომინტერნი**—„გამარჯვება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დედა ლიპა, ძმა ალიოშა ცოლშვილით, სიძეები მიშა, ანდრო, დები ნინო, ქსენია შვილებით იუწყებიან ინჟინერ
სერგო ილიას-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას ქ. წულუკიძეში. დაკრძალვა 13/II, ენგელსის, 19. 5152

ძმა ყაისარ, რძალი ლიზიკო, ძმისწულები შოთა, მიშა ბოლქვაძეები, კატუშა ნაკაიძე, ვანო ქიქოძე ცოლშვილით იუწყებიან
მატრონე ივანეს-ასულ ბოლქვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/II ს. ბახვში. 5155

შვილი დომენტი, რძლები ნატალია, ლუბა, შვილიშვილები მიშა, ეთერ, ამირან ხინთიბიძეები იუწყებიან საყვარელ
სოფიო ანტონის-ასულ ხინთიბიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/II ს. მელექედური (მახარაძის რ.). 5154

კატია, თამარ, ბიქტორ, ნელი, მერი, ტატულია ცაგურიები და შურა ბოკუჩავა იუწყებიან დაუვიწყარ
სამსონ ბერუკის-ძე ცაგურიას
გარდაცვალებას. 5164

შვილები პარმენ, სანდრო, სიმონ, რძალი ნადია, შვილიშვილი კაკო კახიანები იუწყებიან
ელისაბედ (ელისო) გრიგოლის-ასულ კახიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში. 5163

აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კოლექტივი იუწყება დათაშკა კავსაძის მამიდის
მარიამ გრიგოლის-ასულ ქავსაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება მეორე საავადმყოფოდან 12/II 2 ს. 5162

ძმები დავით, ბიკენტი, რაჟდენ ივანეს-ძე, რძალი მარგალიტა, ძმისწულები მარინა, გოგი ყუფარაძეები იუწყებიან
კონსტანტინე ივანეს-ძე ყუფარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/II ქ. ქუთაისში. 5165

ცოლი კეკე, შვილები სანდრო, ვანო, მაშო, ნინო, სონა, თამარ, რძლები ანეტა, რაისა, შვილიშვილები, სიძეები იუწყებიან
ალექსი პეტრეს-ძე ბარბაქაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. კერესელიძის, 24. 5158

სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის ექიმ ნინო ქორფაშვილის მამის
ივანე სოლომონის-ძე ქორფაშვილის
გარდაცვალებას. 5157

ელისაბედ ნაკაშიძისა, თადეოზ ნაკაშიძე, საშა სონღულაშვილი, ავთანდილ მასხულია, ალექსი მუზაშვილი ოჯახებით იუწყებიან საყვარელი ადამიანის
ანთიმოზ იაკობის-ძე ჩხაიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/II ს. ნაესაკოვოში. 5160

ძმა იოსებ, რძლები მარიამ, ელენე, ძმისწულები ვერა, მიშა, ანდრო, ლადო, კოლა, გიგუშა, დათაშკა, ბაბულა, ვახტანგ, ირაკლი, რიტა ოჯახობით იუწყებიან
მარიამ კავსაძის
გარდაცვალებას. 5161

საქ. მიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ახალგაზრდა ინჟინერ მიწათმომწყობ
სერგო ილიკოს-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. 5156

ედუქსი, ნადია, მარო, ქსენია მეუღლით, მეთოდე და ვასო კაკაბაძეები ცოლშვილით იუწყებიან ინჟინერ
მიხეილ (მიშა) კონსტანტინეს-ძე კაკაბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში 13/II. 5143

სახ. უნივერსიტეტის ორგანიული ქიმიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კათედრის ასისტენტ ჩიტო ქობულაძის დედის
ეკატერინე კიმოთეს-ასულ ქობულაძის
გარდაცვალებას. 5147

ჯიბუტი, ბახტაძე, ტოროსიანი, ყურაშვილი, ჯორჯიკია, კაპანაძე, წილოსანი, ბარნაბიშვილი, მიქაძე, სარიშვილი, გაგუა იუწყებიან გიორგი ნოზაძის მეუღლის
სოფიო თევდორეს-ასულ ნოზაძის
გარდაცვალებას. 5148

უახლოესი მეგობრები გოგოტა მაკავარიანი მეუღლით კოლია სვანიძით, მარო შუღლაძე, ანიკო კაკულია იუწყებიან ნინიკო ქორფაშვილი-ზენინგის მამის
ივანე ქორფაშვილის
გარდაცვალებას. 5149

ქმარი კონსტანტინე, შვილები თენგიზ, შალიკო, კაკო, ამბროსი, ბიძინა, ქალიშვილი ნინო ქმრით, რძლები, შვილიშვილები იუწყებიან
ივლიტე საჩინოს-ასულ შავლაძე-ფოფხაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/II 6 ს. მაგისტრალის, 66. 5150

გიორგი, ნინო, პავლე, ბაბულია ჯალალანიები და თამარ ყიფშიძე იუწყებიან შალვა და გიგუცა ბეჟუაშვილების მამის
ბარამის
გარდაცვალებას. 5153

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული № 737